# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი



**ნიკო გოცირიძე**

30 წლის სასცენო მოღვაწეობის საიუბილეოდ რუსთველის თეატრში მარტის 30-ს




ჟურნალ-გაზეთების და წიგნების

**კიოსკი გაიხსნა**

„ახალი კლუბის“ (ყოფ. ქართული თეატრის) შესავალში

სასახლის ქუჩა, № 5.

იყიდება ყოველნაირი ჟურნალ-გაზეთი და ახალი გამოცემანი.

## ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ში მიიღება

**დასაბეჭდად სახელმწიფო თუ კერძო სხვადასხვა დაწესებულებათა, სავაჭრო სახლთა, სანახაობათა და სხვათა**

## განცხადებანი შეღავათიან ფასებში

განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს რედაქციის სახელზე: „თეატრი და ცხოვრება“-ს კანტორას (ყოფ. ქართული თეატრის, ან „ახალი კლუბი“-ს შესავალში, სასახლის ქ., № 5), ფოსტით ამავე მისამართით **იოსებ იმედაშვილის** სახელზე. დაბა-სოფლებისა და ტფილისს გარეშე ქალაქების დაწესებულებებმა განცხადებასთან ერთად მისი ღირებულებაც უნდა გამოიგზავნონ.

---

## ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს კანტორა

მოთავსებულია სასახლის ქ., № 5 „ახალი კლუბის“ (ყოფ. ქართული თეატრის) შესავალში. აქ მიიღება ჟურნალზე ხელის მოწერა და ყოველგვარი მასალა.

რედაქტორის პირისპირ ნახვა შეიძლება დილით 10—11 ს., საღამოთი—6—7 ს., ფოსტით—ტფილისი, სასახლის ქ., № 5, **იოსებ იმედაშვილს**.

# თეატრი და ცხოვრება

1910—1924

წელიწადი XIV

№ 8

ფასი 20 ქ. მ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.
რედაქციის ბინა: ყოფილი ქართული თეატრის –სასახლის ქ., № 5, „ახალ კლუბი“-ს შესავალში.
ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. || კ ვ ი რ ა, მ ა რ ტ ი ს 16 || გამოცემა 1924 წ.


## სადღეისო

**მშიერი და მაძღარი**

მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო,—ჩვენს სათეატრო ცხოვრებას რომ ვუკვირდებით, ეს ანდაზა გვაგონდება.

დღეს ტფილისის ქართული აკადემიური დასი რუსთველის თეატრში იმდენად უზრუნველყოფილია, რომ თითოეული პიესის დადგმისას ახალახალი დეკორაციებისა თუ სხვა ხელსაწყოებისათვის აუარებელ ფულსა ხარჯავს... წელში გამართული დასი უკვე მიმართულების ძიებაშია, სკოლათა შექმნაში და სათეატრო დარბაზი რომ ცალიერი ჰქონდეს, მაინც წარმოდგენებსა ჰმართავს.

ასეთსავე ნებივრობაშია სახელმწიფო ოპერა, რუსული დრამა სახალხო სახლში.

და ეს მაშინ, როდესაც უყურადღებოდ მიტოვებულია **სრულიად საქართველოს თეატრი.**

დღეს **ქართულ თეატრში** მარტო ტფილისის რუსთველის დრამას ვერ მოვათავსებთ, მით უმეტეს, როცა იგი ერთ განსაკუთრებულ მიზანს ისახავს, შეიძლება საპატიოსაც, მაგრამ მარადიულ ხელოვნებისათვის არა მიზანშეწონილს.

აკადემიური დრამის სათუთად მოვლა საჭიროა და ასეც უნდა იყოს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კერძოდ ტფილისის სახალხო თეატრის ქართულ დრამას, სადაც ამჟამად შეკრებილნი არიან ნიჭიერი სცენის მოყვარე-მსახიობნი და ასევე ნიჭიერი რეჟისორნი,—ეს დასი ყოველმხრივ მოვლილი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ თავისი მაღალი მიზან დანიშნულება ღირსეულად შეასრულოს.

ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტფილისის განაპირა უბნებსა და პროვინციის—ქუთაისის, ბათომის, ფოთის, ხონის, ჭიათურის, ზესტაფონის, თელავის, სიღნაღის და საერთოდ მთელი საქართველოს დაბა-სოფლის თეატრებს. განა სინიდისი აიტანს, რომ ტფილისის მთავარი თეატრები—დრამა და ოპერა— ჯადო-ლამპრებით კაშკაშებდეს, ახალ-ახალ ნახატ დეკორაციებით თვალს ატყვევებდეს, როცა **სრულიად** საქართველოს თეატრებს ქონის ჭრაქიც არა აქვთ, პარიკი და სამოსი?!

არა კმარა მარტო სასახლეებზე ზრუნვა,—ყურადღება ქოხებსაც,—აი რას მოვითხოვთ, ვისგანაც ჯერ არს.

## ნიკო გოცირიძე

**(მისი იუბილეს გამო)**

კარგა ხანია მას აქეთ.

აზიანის კომედიასა თამაშობდენ. ჩვენი დიდი ვასო იღებდა მონაწილეობას. პირველ მოქმედებაში ვასო თავის ხასიათსა და ხალისზე არ იყო,-- ეტყობოდა უღონოდ უნდა ჰყოფილიყო.

მეორე მოქმედება გათავდა, მაგრამ ვერ იქნა და ველარ ვეღირსეთ ფარდის ახდას: მეტად გრძელი ანტრაქტი იყო.

როგორც იქნა დაიწყეს მესამე მოქმედება და ვასო ველარ ვიცანით: თუ პირველ მოქმედებაში მას უღონობა ემჩნეოდა და ჩვეულებრივი სისპეტაკე, სიმახვილე და სიცოცხლე აკლდა, ახლა ჩვენ წინ იდგა ჩვენი ნამდვილი ვასო და თავისი მოელვარე ნიჭით გაგვიტაცა, დაგვავიწყებია საკუთარი ჭირვარამი, ყოველდღიურობა და დაუსრულებელი მხიარულებისა და სიხალისის ქსელში გაგვახვია.

გათავდა მეორე მოქმედება. ანტრაქტია. ხალხი ბუზივით ირევა.

— გეფიცები, ვასო არ არის, გოცირიძე ყოფილა!

— ერთი შენც, რას მელაპარაკები? აბაშიძეს ველარ ვიცნობ?

— პირველ მოქმედებაში ვასო იყო, მეორეში -კი გოცირიძე, რადგანაც ვასო თურმე ავად გახდა.

— კარგია ერთი, არავინ გაგიგონოს!

არის ასეთი კამათი ერთ ალაგას.

— კაცო გოცირიძე ყოფილა, ჩვენ კი აბაშიძე არ გვეგონა!

— რის გოცირიძე რას ლაპარაკობთ? ვასოს ველარ ვიცნობ განა?

— მეც კი ეგრე მეგონა, მაგრამ ვასო ავად გამხდარა და გოცირიძე გამოუყვანიათ.

— ვასო იყო, ნამდვილი ვასო, აბა რაებს ლაპარაკობთ?

— აგერა სოსო, კულისებში იყო და იმას ყველაფერი ეცოდინება,

სოსოს გარშემო ხალხი შეჯგუფდა.

— გაგვაგებინე, სოსო, რაშია საქმე?

— მართლა გოცირიძე იყო, თუ ვასო?

— ვასო მართლა ავად გახდა?

— რა ნიძლევი, რო ვასო იყო?

— რა ნიძლევი, რო გოცირიძე იყო?

ცხარობდენ ახალგაზრდები.

— პირველ მოქმედებაში ვერ ატყობდით განა, რომ ვასო ავად იყო? დაიწყო სოსომ: ანტრაქტი იმიტომ გააგრძელეს იმდენად, რომ ვასო ისე ავად შეიქნა, წარმოდგენა უნდა გადადებულიყო; მაგრამ როგორც იქნა, გოცირიძე გამონახეს, ჩააცვეს, გაუკეთეს გრიმი, გამოუშვეს და როგორია ბიჭი? ბევრმა ახლაც არ იცის, თუ მეორე მოქმედებაშიაც ვასო არ თამაშობდა.

— მერე არც მომზადება უნდოდა, არც რეპეტიცია?

— ეგ როლი რამდენჯერმე უთამაშნია სახალხო სახლში. და ყოველივე ეს მართლა მოხდა, სინამდვილეა და არა ზღაპარი.

დიდი ნიჭია საჭირო, რომ ერთმა მსახიობმა ასე სრულად მოაჩვენოს მაყურებელს მეორე მსახიობი და მერე ვინ?—ვასო აბაშიძე!

ამ დიდი ნიჭის პატრონია ნიკო გოცირიძე.

ვასო აბაშიძეს ჯერჯერობით მემკვიდრე არ გამოსჩენია. და თუ ვინმეს შეუძლია ამ მემკვიდრეობაზე თავისი უფლებების წამოყენება,—ისევ ნიკო გოცირიძეს.

ნიკო გოცირიძე მშრომელი ხალხის წრიდან არის გამოსული და მშრომელ ხალხთან მას არასოდეს არ შეუწყვეტია კავშირი. მას ღრმადა აქვს გასული, გადგმული ფესვები მშრომელი ხალხის გულში და იქიდანა ჰკრებს ძალასა და ცეცხლს თავისი შემოქმედებისათვის.

ნიკო გოცირიძე მშრომელი ხალხის სცენის სახალხო თეატრის ერთი უდიდესი მნათობია და მთელი თავისი ნიჭი, ცეცხლი და გატაცება მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების, აღდგენის, განთავისუფლებისა და ამაღლებისათვის შეუწირავს.

ნიკო გოცირიძე ძველი ტფილისის მომხიბლავი ზღაპარია,—არასოდეს არ მოგწყინდება. ძველი ტფილისის მოქალაქემ ნიკო გოცირიძეში ჰპოვა თავისი იშვიათი მხატვარი.

ჩვენ ყველას გვეგონა, რომ ნიკო გოცირიძის ნიჭი ტფილისით ამოიწურებოდა, ტფილისს ვერ გასცდებოდა, საქართველოს გარეთ ველარ გასწვდებოდა.

იმისი ნიჭი, იმისი ინტელიგენტობა, ბუნებრივი დაკვირვება, გამჭრიახობა, გონებამახვილობა და გაქანება გაცილებით უფრო დიდი გამოდგა. აკადემიურ თეატრში ნიკო გოცირიძე საგრძნობლად გაიზარდა, დაიხვეწა და „ინტერესთა თამაშ"—ში, „გმირ"—ში „გააზნაურებულ მდაბიო"—ში მან მოგვცა სრულებით ახალი მხარე და თვისებანი თავისი ნიჭისა; მსახიობის წინაშე გადაიშალა ახალი შესაძლებლობა და მან უკვე მოგვცა ბრწყინვალე მიღწევა.

ტფილისის მოქალაქე აკოფიდან გააზნაურებულ მდაბიომდე მეტად დიდი მანძილია და ეს მანძილი ჯადოსნური სისწრაფით, სიმარდით და სიმკვირცხლით გადალახა ნიკო გოცირიძემ.

ნიკო გოცირიძეში ქართველი ერის ნიჭი და სიხალისე სჩქეფს, მისი ლაღობა და შეუჩერებელი მისწრაფება წინ და სულ წინ.

ნიკო გოცირიძეში ქართველი ერის მტკიცე ნებაა, მისი გაუტეხელი და მაგარი კუნთები.

ნიკო გოცირიძე ახალი საქართველოა, საქართველო— მშრომელი ხალხისა.

ნიკო გოცირიძეში ქართველი ერის იუმორია, გულგაშლილი, გულმხიარული, სიკეთით სავსე და ბოროტებისა, ღვარძლისა და გესლისაგან განწმენდილი.

ნიკო გოცირიძე მშვენებაა ჩვენი სცენის, მისი კეთილშობილი რაინდი.

**ივ. გომართელი**

# ახალი რომანიდან „სულთა კავშირი"

... აყრილ ტყეზედ ადიოდა გზა. ჯაყჯაყებდნენ ურმები მეტად, დაანჯღრიეს შიგმჯდომი ყველა: ვიწრო გზა მთლად დაეფარნათ გახლართულ ფესვებს, ამომჯდარიყვნენ, უშლიდნენ თვლებს თანაბრად ტრიალს. ბევრი გადმოხდა. აეფინენ აღმართებს ფეხით.

— როგორ შევსძლებთ მწვერვალზედ ასვლას?! მუხლები სულ დააწყდებათ საწყალ ყმაწვილებს,— წარმოსთქვა გულნაზმა.

— თქვენ კი არა, ვაჟკაცებიც ვერ შესძლებენ იქ აღწევასა,—მიუგო ქმარმა.

— მაშ რა უნდა ვქნათ?

— ახლოა ხატი: აგერ მალე გათავდება ტყე და დავინახავთ.

უზარმაზარ ხეთა რაზმი შეწყდა უცებ ღრმა ხევის პირს. კალოდ გამოჩნდა გორის თხემი მლოცავით სავსე. ურმები თუ ცხენები ქვეით დაეყენებინათ. გაემართნენ, მიაღწიეს ხატის ადგილას. ლოცულობდნენ მისულები, სანთლებს ანთებდნენ. დიდდიდი ხე ხავს-მოდებული; ხმელ ტოტების ნამტვრევები ქვეშ მოფენილი. დაყანდებულიყვნენ დაფიქრებულნი. სდარაჯობდნენ ხატის სავანეს. ხეებ შუა ტრაპეზად ამართული უზარმაზარი გელაზები შეტყუპებულნი, ქვეით ნაჩორკნი, ზევით უფრო შესწორებულნი. ნაღვერდლები დაეყარნათ სამსხვერპლოზედ, დაეკმიათ ბაზმა, საკმელი. ყვავილებით მოეფინათ სიწმიდის ნიში. მღვდელს წმიდა გიორგი მიეყუდებინა ტრაპეზზედ, ქვეშ დაფარნა გაეშალნა, შანდალი დაედგა წინ; მაგრამ წმიდანს ძალა თვისი გასცუდებოდა: მას არ უკმევდნენ, აღარც უნთებდნენ. ხეების ქვეშ ირმის ჩხები, ზოგან ტოტებზედაც. მუხის ღეროზედ მძიმე ჯაჭვი ჩაეანგებული.

— ამ ქვის ტრაპეზზედ წინად ალბათ ბევრს მსხვერპლს სწირავდნენ სათუთად მოვლილს.

— თუთაის ზვარებს, მისდ შეწირულებს: ბრწყინვალე მანგს ქართველები მეტად ესვიდნენ; საქართველოს მფარველ ღმერთად იმასა ჰხადდნენ.

— მაღლა დაუდგავთ მისი სამსხვერპლო.

— ახლოს არიან მწვერვალები ამ მნათობზედა. სამას-სამოც-სამი სამსხვერპლო.

— მაგდენი გვყავს წმიდა გიორგი.

— ეს ახალ სჯულში, როს გიორგი დაენაცვლა მფარველ მთვარესა. ადამიანნიც მოჰყვანდათ ზვარად; თეთრად მოსილი მონა-მხევლები მას გვიჩვენებენ.

— კაცი მსხვერპლადა?!

— მთვარეულებს, მანგის მგოსნებს შესწირვიდნენო.

— ღმერთო დაგვიხსენ!

დიდი ხანი იყო, ღმერთს დაეხსნა ქართველები მსხვერპლად შეწირვისაგან და მადლიერი ერი მით უფრო მხიარულად ეგებებოდა ამ დღესასწაულს: გაისმოდა სიმღერები, საკრავის ხმები; როკავდა ხალხი, ნადიმობდა ნათელ ღმერთის წინ.

და თითონ მანგიც გულსავსებით დაჰხვედროდა მის კარს მოსულებს: მოეხსნა რიდე, მხართ გარდაეგდო; დაეჩინა მთელი პირი დავაჟკაცებულს. უხდებოდა ბადრ სახეზედ ხმლის ნასერები, ბნელთან ბრძოლაში ლახტთა კვალი ჩალიბრებული. სხივთ ნაკადები დაენთქრია არემარისთვის; ვერ უულებოდა იმის მოსავთ ბნელი უკუნი.

დალვრემილი გიორგი კი მრისხანებით იმზირებოდა; შუბს იმარჯვებდა. თუ ეგონა, სამუდამოდ დაენაცვლა მანგს ქართველთათვის და სწყინდა ეხლა მლოცავთ განდგომა.

მოისმოდა ხალხთ ხმაურში წყალთა ჩანჩქარი.

— აქვე ახლო დიდებული წყარო გადმოდის; ქალდურაის სათავეა, რომ გამოხვედით.

— წავიდეთ, ვნახოთ!

— აბა იარეთ!

გასცდნენ ხეებსა, დაეშვნენ დაბლა და აჩნდა თვალთ წინ: უფსკრულ ხევში ღრმად ჩაჭრილი სალი კლდის კალთა. ნაპრალიდან გადმოჰქუხდა წყარო ვეება. ლაპლაპებდა მის ჭავლებში სხივთა ნალეწი, ელვარებდა ბუნჯგალ-ბუნჯგალ შხეპთა წინწკლებში. მთა, ტყე, ველი ხმას აძლევდნენ მხლტომელ ტალღებსა.

— რა ლამაზია!

— შესაზარი შეიქმნება სიბნელეშია; დევთა ზახილს შეედრება დიადი ხმები, მათ ზეიმს, ქორწილს.

— აგერ მესმის ნადირთ ყეფა, კვნესა, ყმუილი.

— ნუ გეფიქრებათ! ხალხით სავსეა აქაურობა, მავნე ვერ გვიწევს. სხვა დროს კი...

**ვასილ ბარნოვი.**

# მუსიკა და სიმღერა ტეხნიკუმში [1]

თუმცა დღეს ყველა დაბალსა და საშუალო სკოლაში შემოღებულია სიმღერა-მუსიკა, მაგრამ სწავლება მაინც ვერ არის დაყენებული შესაფერ დონეზე; კიდევ დილეტანტიზმი და სიბნელეა გამეფებული.

სხვაგან სად, თუ არა საშუალო სკოლაში, შეიძლება კარგად მოეწყოს ესთეტიურ აღზრდის და სამუსიკო განვითარების საქმე.



ალისა ქიქოძე
(როლში)

მიაქციეთ ყურადღება თვით მასალას: სიჭაბუკე, სიყრმე, სიმწიფის ხანა — ეს ძვირფასი ფაქტორია სულიერ განვითარებისთვის.

თუ რომელიმე მასწავლებელს შეეკითხებით მუსიკის მნიშვნელობის შესახებ, იგი მრავალმნიშვნეულად გიპასუხებთ:

— ჰო, მუსიკას, დიაღ დიდი ადგილი უჭირავს სწავლა-აღზრდის საქმეში... მე თვით მუსიკის დიდი მოტრფიალე გახლავართ.

მაგრამ საქმით კი ერთი მხოლოდ მიჩემებულ ისტორიით არის დაინტერესებული, მეორე მათემატიკით, მესამე სხვა რაიმე საგნით, და არც ერთს აზრად არ მოუვა დაუახლოვდეს მოწაფეს, ჩაიხედოს მის გულის სიღრმეში, სულში და გაიგოს — იქნებ აქვს მას დაუკმაყოფილებელი ესთეტიური მოთხოვნილებანი.

* * *

ჩვენ კარგად გვახსოვს ის ყოველგვარი სისაძაგლე, რომელიც გამეფებული იყო რევოლიუციის წინა ხანამდე; ის დახავსებული ხანა, როდესაც სიმღერა-გალობას შემ-



ნიკო გოცირიძე—
გ უ რ ქ ა
—„მზის დაბნელება საქართველოში“

თხვევითი ხასიათი ჰქონდა, როდესაც ხელოვნება „კლოუნის“ როლს ასრულებდა აზრ-დახშულ და გონება-დაჩლუნგებულ ხალხის წინაშე; მაგრამ ეხლა, როდესაც ყოველივე წარსულს ჩაბარდა, როდესაც ჩვენს საზოგადოებას ცოტა მომზადება დაეტყო მუსიკაში, დროა სერიოზულად ჩაუფიქრდეთ სწავლა-აღზრდის საქმეს, დროა უთავბოლობა განიდევნოს და მის ნაცვლად შევქმნათ კარგი და მწყობრივი გუნდები, ბავშვებისთვის ვმართოთ საბავშვო სიმფონიები, ოპერები, საღამოები ან დილები ამა თუ იმ კომპოზიტორის გასაცნობად, აგრეთვე საღამოები ხალხურ მხატვრულ სიმღერებისა და ამრიგად მტკიცე და სერიოზულ ნიადაგზე დავაყენოთ სამუსიკო საქმე.

ამასთანავე საჭიროა ლექციები მუსიკის და ხელოვნების ისტორიის შესახებ.

უნდა ვიქონიოთ მტკიცე კავშირი ოპერებთან და სიმფონიებთან, ე. ი. სისტემატიურად და თანდათანობით შევასწავლოთ ბავშვებს ნიჭიერი ნაწარმოები.

ყოველივე ამას მაშინ მივაღწევთ, როდესაც სკოლაში გვეყოლება მუსიკის მცოდნე სიმღერის მასწავლებელი და ლოტბარი*).

ეს საქმე პირდაპირ სამუსიკო საზოგადოებას ევალება. სწორედ ამ უწყებამ მკვიდრ ნიადაგზე უნდა დააყენოს ის, რაც განავითარებს გონებას და აღზრდის სულს.

საჭიროა როგორც შრომის სკოლებში, ისევე ტეხნიკუმებშიაც მუსიკა-სიმღერა სავალდებულო საგნად იქნეს შემოღებული.

აქაც სიმღერა-მუსიკას არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი, დამატებითი ხასიათი.

მისი პირდაპირი დანიშნულება უნდა იყოს მოწაფის სამუსიკო აღზრდა, თანდათანობით განუვითაროს სამუსიკო სმენა და მეხსიერება, ხმა და სუნთქვა, შეასწავლოს სამუსიკო ან-ბანი, ხალხური მხატვრული სიმღერა და რიგიანი სამუსიკო ლიტერატურა.

საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს სპეციალისტი, მუსიკის თეორიის ზედმიწევნით მცოდნე, რომელსაც შეუძლიან გუნდის მოწყობა-ხელმძღვანელობა.

სიმღერა სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის 13 წლის ჰასაკამდე, ხოლო ვისაც ხმის ცვალებადობის ხანა ადრე დაუდგება, შესწყვეტს სიმღერას და სწავლობს მარტო მუსიკის თეორიას.

ხმის ცვალებადობა ზედმიწევნით დგება 13—18 წლამდის*). მასწავლებელს ევალება დიდი ყურადღება მიაქციოს ასეთ მოწაფეებს. კარგი იქნება, თუ თვეში ერთხელ მაინც ხმებს გაუსინჯავს დასვენებულთ.

გადაჭრით უნდა აღიკრძალოს ყოველგვარი სიმღერა და სასტიკი პასუხიც მოეთხოვოს ვინც ამ დებულებას ანგარიშს არ გაუწევს.

მასწავლებელმა უნდა განუმარტოს და ჩაუნერგოს ამ მომენტის სერიოზობა და მნიშვნელობა: რომ, თუ დროზე არ შეაჩერებენ სიმღერას, სამუდამოთ გაიფუჭებენ ხმას



ნიკო გოცირიძე —
ქ უ რ დ ე ნ
—„გააზნაურებული მდაბიო“

*) ამავე საგნის შესახებ იხ. ჩემი წერილი 1923 წ. „ტრიბუნა“, № 509, სადაც მოკლედ აღვნიშნეთ მოწაფეთა უმწეო მდგომარეობა უვარგის მასწავლებელთა გამო. ავტ.

*) მე მყავდა ერთი ამხანაგი, რომელიც 21 წლისა „სოპრანო“-ს მღეროდა, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათია. ავტ.

სასიმღეროდ. საჭიროა ამ ხმის ცვალებადობის შესახებ იყოს სავალდებულო დადგენილება.

ამგვარად საშუალო სკოლაში (ტეხნიკუმში) სიმღერა უნდა ისწავლებოდეს ზოგიერთ კლასის გამონაკლისით, სახელდობრ: 1-ლ და 2-ე კლ. ან ნაწილობრივათ.

ის მოწაფენი, რომლებიც არ მღერიან, სწავლობენ მუსიკის თეორიას, დანარჩენი მე-3 და მე-4 კლასები, სადაც უკვე მომწიფებულნი არიან, მხურვალე მონაწილეობას იღებენ როგორც საკლასო, ისე გუნდის სიმღერაში.

**გ სვანიძე.**

# კოლექტივიზმი და ხელოვნება

II*)

ბურჟუაზიის იდეოლოგების ყვირილი, მომავალ კოლექტივისტურ წყობილებაში ხელოვნების განადგურების შესახებ, ჩვენთვის ადვილი მისახვედრია. მათ ამ შემთხვევაში უფრო აინტერესებთ არა ხელოვნება, არამედ თავი-



**ალ. ჟორჟოლიანი**
(მდივანი—„ინტერესთა თამაში“)

ანთ ბატონობის მუდმივობის გამტკიცება და მოსვენებას არ აძლევს სოციალიზმის აჩრდილი.

ისეთი აზრები, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგები ფიქრობენ, არც ერთს კოლექტივისტს არ მოუვა თავში. ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მათ გავახსენოთ, რომ მომავალ კოლექტივისტურ წყობილებაში, ასტრონომები, ფილოსოფოსები, პოეტები, არტისტები და სხვ., არ იქნებიან მოწამლულნი როგორც სოკრატე, ან განდევნილნი როგორც დანტე, არ იქნებიან გახლეჩილნი როგორც არქიმედი ან დამწყვდეულნი როგორც გალილეი. მომავალი საზოგადოება შეეგებება ხელოვნების წარმომადგენლებს დიდი სიხარულით.

როგორც ჩვენი წინა წერილიდან სჩანს, სიმძიმის ცენტრი აღძრულ საკითხისა მდგომარეობს იმაში, რომ ექნებათ თუ არა ხელოვნების წარმომადგენლებს ან ე. წ. თავისუფალ პროფესიის ხალხს, სოციალისტურ წყობილებაში, თავისუფალი დრო იმდენი ან მეტი, როგორც კაპიტალიზმის ხანაში, რომ შეუდგეს თავისი შემოქმედებითი მუშაობას. აი ამ მხრივ თუ განვიხილავთ საკითხს, შეიძლება ითქვას, რომ თუ არსებობს რაიმე წრე, რომელიც ხელს უშლის ხელოვნების ფრთების გაშლას, ეჭვს გარეშეა, ეს არის თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც იმყოფება მთელი თავისი არსებით ფულის ბრჭყალებში. კაპიტალს ტყვეობაში ჰყავს ყველა დარგი ხელოვნებისა. პრესის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია. აი რას სწერს ამის შესახებ ნ. კ.: „კაპიტალის მიერ ბეჭდვითი სიტყვის დათრგუნვა ხდება მწერლების საშუალებით. მწერალი თანდათან ხდება ისეთსავე მუშად კაპიტალისტურ წარმოებაში, როგორიც არის რომელიმე ქარხნის ან ნახშირის მაღაროების მუშა და სხვ. ის ჰყიდის თავის შრომას და ასრულებს იმ სამუშაოს, რომელსაც მას დაავალებენ ან უბრძანებენ“...*).

ასეთ „დახმარებას“ უწევს კაპიტალისტური საზოგადოება ხელოვნების განვითარებას.

ხალხის უმრავლესობისათვის ესთეტიური კმაყოფილება ფუფუნების საგანს წარმოადგენს.

„ესთეტიური კმაყოფილებისთვის,—ლაპარაკობს სპენსერი,—დამახასიათებელია ის, რომ იგი არაა დაკავშირებური ჩვენს სასიცოცხლო (жизненных) ფუნქციებთან და არ იძლევა რაიმე შეხებითი სარგებლობას... მასში არის რაღაც ჭვრეტითი და მასთან უქმი (созерцательное и вместе праздное): ეს ფუფუნების საგანია“. ეს თუ ასეა, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, მით უმეტეს, სადაც ადამიანთა უმრავლესობა თავის ცხოვრებას ბრძოლაში ატარებს ლუკმა-პურის საშოვნად, ხელოვნება ფუფუნების საგნად იქცევა. ის მხოლოდ დიდი უმცირესობის პრივილეგიად რჩება. ამ უმრავლესობას დღეს წარმოადგენს ბურჟუაზია, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ის ნაწილი ბურჟუაზიისა, რომლის მთავარი ინტერესია ამოსწოვოს პროლეტარიატს „ზედმეტი ღირებულება“.

კაპიტალისტურ წყობილებაში ხალხის დიდი უმრა-

*) იხ. „თ. და ც.“, № 5.—პირველ წერილში დაბეჭდილი იყო „მეოცე საუკუნის შუა რიცხვებიდან“, უნდა იყოს—„მეცხრამეტე საუკუნის შუა რიცხვებ-დან“.

*) ჟურნალი: „Пробуждение“, 1914 г., № 7, „Во власти капитала“.

ვლესობა ჩაბმულია საარსებო ბრძოლაში და, რადგან მისი ნაშრომის ნაწილი სხვას მიაქვს, ის იძულებულია დილიდან საღამომდის იმუშაოს, რომ შეინარჩუნოს სიცოცხლე. ხშირად მას აიძულებენ ასე მოიქცეს. მაგალითად: ევროპის მრავალ სახელმწიფოში დღემდის არსებობდა და ზოგიერთ ადგილას ახლაც არსებობს 9, 10 ან კიდევ მეტი საათის სამუშაო დღის კანონი ფაბრიკა-ქარხნების მუშებისათვის. აბა როგორ დაურჩებათ მათ ასეთ პირობებში საკმარისი დრო, რომ დაიკმაყოფილონ თავის ესთეტიური მოთხოვნილება? არც ეკონომიური მხარე უწყობს ხელს. ხალხთა უმრავლესობა ვერ სარგებლობს ხელოვნებით. ვინ არ იცის, რომ მხოლოდ შეძლებულთა კლასს აქვს საკმაო დრო და საშუალება ბიბლიოტეკით და თეატრით სარგებლობისა, მხოლოდ მათ შეუძლიათ შეიძინონ საუკეთესო წიგნები და მხატვრის ნაწარმოები. თუ მუშა შეიძენს წიგნს ან სურათს, ის იძულებულია სამაგიეროდ ბევრი რამ დაიკლოს თავის აუცილებელ მოთხოვნილებაში. ეს საგრძნობ გავლენას ახდენს მის ბიუჯეტზე.

ერთი სიტყვით, მდიდართა კლასს შეუძლია ისარგებლოს ხელოვნების ყოველგვარ დარგით. აი ამ „სულიერი და მატერიალური (духовной и материальной) მონოპოლიის გამო მხოლოდ მარტო ბურჟუაზიას შეუძლია უკარნახოს თავისი ნებისყოფა (волю), პირდაპირ სახელმწიფო ძალაუფლების საშუალებით, იმ თანამედროვე მხატვრებს, რომლებსაც არა აქვთ სხვა საშუალება არსებობისა და იძულებული არიან დააკმაყოფილონ ბურჟუაზიის გემო სიმშილით სიკვდილის შიშის ქვეშ" (ვანდერველდე). რასაკვირველია, ყველა ამას თავისებური გავლენა აქვს ხელოვნებაზე.

აბა სად არის აქ ხელოვნების წარმომადგენლებისთვის თავისუფალი დრო?

სად არის აქ ხელოვანი განთავისუფლებული ზეგავლენისაგან?

ეს არ არის ხელოვნების თავისუფლება, არამედ ფრთების შეკვეცაა.

როგორ მდგომარეობაში იქნება იგი კოლექტივისტურ წყობილების დროს? ამაზე შემდეგ.

ჭ. ძველაია.

# ხალხური მოღვაწე-მწერალნი

## იონა გრიგოლის ძე ბელიაშვილი (იონა თლუღელი)

თებერვლის 8 ჭიათურაში გარდაიცვალა ძველი სოციალ-დემოკრატი და საზოგადო მოღვაწე იონა გრიგოლის ძე ბელიაშვილი.

განსვენებული დაიბადა სოფ. თლუღში (რაჭის მაზ.), ღარიბი გლეხის ოჯახში, მაგრამ სამეურნეო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდამვე დაიწყო ჭიათურაში მუშაობა, აქ დაესახლა და აქვე მიიღო თავისი პროფესია,—შტეიგერობა, რითაც ირჩენდა თავს უკანასკნელ დრომდე. ჭიათურიდან იწყება მისი პოლიტიკურ-რევოლიუციონურ ასპარეზზე მოღვაწეობაც: მონაწილეობდა მოძრაობის ყოველ დარგში: 1905 წ. რევოლიუციაში და შემდეგ...

მწერლობაში ცნობილია იონა თლუღელი ფსევდონიმით, თანამშრომლობდა ჟურ. კვალში", „ჯეჯილში", შემდეგ სხვა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში. სწერდა ლექსებს, მოთხრობებს და სხ.

იგი, როგორც ღარიბი გლეხის შვილი—დაჩაგრული მუშათა კლასის ოჯახის წევრი და მარქსისტულ იდეოლოგიას გაცნობილი— ადვილად ჩასწვდა ძველ, დრო-მოჭმულ თვითმპყრობელურ წეს-წყობილებისაგან შექმნილ ცხოვრების უკულმართობას; საფუძვლიანად გაეცნო, შეისწავლა ის და ფარდა ახადა მაშინდელ ცხოვრების ხორცმეტებს,—ბატონ „არსენ გულმყრალაძეებს" და მისგან უმიწო-წყლოდ დარჩენილსა და გაუბედურებულ „მიხეილს" და „სალომეებს" და მათ შორის მკაცრი,—კლასიური მიჯნა გაავლო. მან ხალხური, პოპულიარული ენით დაგვისურათა, რომ სანამ თვითმპყრობელობა და მისი ზედნაშენი „გულმყრალაძეები" არსებობენ—„მიხეილი" და „სალომე" ვერ მოისვენებენ და მათი ისედაც გაძარცული „ოჯახი" მუდამ აფორიაქებული იქნება მთავრობის მოხელეებისაგან...

მას დარჩა აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავი ხელთნაწერები. კარგი იქნება, თუ საქართველოს მწერალთა კავშირი, ან „თეატრი და ცხოვრება", რედაქცია ითავებს მისი ნაწერების შეკრებისა და გამოცემის საქმეს *), რომელიც დღესაც ყურადღების ღირსია.

განსვენებული ამ ჟამად დაახლოებით 48 წ. იყო.

მის დაუღალავ შრომასა და ღვაწლს არ დაივიწყებს შთამომავლობა...

მანი

## დავდნი, დავიღალე

მოდის დაღონება, ვით ქალი სნეული.
და მე გული მეწვის, და მე გული მტკივა.
მკრთალი მოგონება: ლანდი შორეული.
და ფოთლები მჭკნარი ბაღში თრთოლვით ცვივა.

ზეცა ნაღვლიანი, ზეცა ნაცრისფერი,
უიმედო ლტოლვა და ჩხავილი ყვავის.
ოხ, სევდების გროვა, ოხ, ცრემლების ჩქერი,
გულში ისევ მღერის, გულში ისევ ჰყვავის!

და მე ისევ მცვივა და სული კანკალებს,
ო, გამათბეთ ცეცხლით, მზეო, შუქი მალე!
ვერვინ ვერ მისწვდება ჩემ ტანჯვის მწვერვალებს,
ვით ცვარი მზის შუქზე, დავდნი, დავიღალე.

ალ. რიონისპირელი

*) ი. თლუღელის ნაწერების შეკრებას ვანდობთ ჩვენს თანამშრომელს მანის, ი. თლუღელის მახლობელთა დახმარებით.

რედ.

# ქართველი ქალის დღესასწაული

**ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას** სამწერლო მოღვაწეობის იუბილე რუსთველის თეტრში მარტის 9 ქართველი ქალის დღესასწაული იყო: ზეიმობდა ქართველი ქალის შემოქმედება, დაესწრო უმთავრესად ახალგაზრდა ქალობა და მიმლოცავთა შორისაც ქალებმა ისახელეს თავი. ანასტასიას მოღვაწეობის შესახებ შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ვახ. კოტეტიშვილმა, შემდეგ დაიდგა იუბილიარის რომანიდან („მოლიპულ გზაზე“) გადმოკეთებულ პიესის ერთი სურათი, ბოლოს გაიმართა ზეიმი. ჩვეულებრივ კოპწიათ მორთულ სცენაზე ანასტასია გამოიყვანეს დამსახურებულმა მწერლებმა—ეკატერინე გაბაშვილისამა და ვ. ბარნოვმა, რომელსაც მომღერალთა გუნდი სიმღერით შეეგება, საზოგადოება ტაშით. საპატიო ადგილს დასხდენ ეკატერინე, ანასტასია და ვასილი. შვენოდენ ეს მირონცხებული მოციქულ-შემოქმედნი. საზეიმო განყოფილებას თავმჯდომარეობდა მგოსანი ს. აბაშელი (კ. მაყაშვილი ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა). პირველი სიტყვით მიესალმა დრამატურგი ნ. შიუკაშვილი და სრ. საქ. მწ. კავ. სახელით ადრესი მიართვა. შემდეგ განათლების კომისარის, სახ. კომისართა საბჭოს და საქ. ცენტ. აღმ. კომიტეტის მხრივ მიულოცა ს. აბაშელმა, რომელმაც, სხ. შ., განუცხადა მთავრობის გადაწყვეტილებს: ა) ანასტასიას ეწოდოს „დამსახურებულ მწერალი ქალის“ სახელი ბ) ტფ. ერთერთ ქუჩას დაერქვას მისი სახელი, გ) საჩუქრად მიეცეს 500 მან. მიულოცეს ქართველ მწერალ ქალთა სახელით ცქვიტმა და დარია ახვლედიანმა, „კავკასიონი“-სა და „ქართ. სიტ“—ს. ფაშალიშვილმა, 12 ტეხნიკუმის—მოწაფე ქალმა, თარხნიშვილების გუნდმა, „თეატ. და ცხ.“—შ. იმედაშვილმა, თურქულმა დრამამ, ძველმა ჟურნ. კ. ხერხეულიძემ, რ. ერისთავმა (საკუთარი ლექსი), ვაჟთა 10 ტეხნ. და სხ. არაჩვეულებრივი იყო სიტყვა 12 ტეხნ. მოწაფე ქალის,—ასეთი დალაგებული, შინაარსიანი, დღის შესაფერი და ბუნებრივ მჭევრმეტყველებით ნათქვამი სიტყვა იშვიათად მოგვისმენია. თარხნიშვილების (დების) გუნდმა თავისი ხალხურ-ბუნებრივი სიმღერებით მთლად მოაჯადოვა საზოგადოებით გაჭედილი დარბაზი. ბოლოს სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა იუბილიარმა, რომლის სახეს ამკობდა უმაღლესი ბეჭედი დედობის, მადლიან საზოგადოებრივ მუშაკობისა და ჭეშმარიტი ადამიანობის.

**კენტი**

---

# ადრესი ა. ერისთავ-ხოშტარიას საიუბილეოდ XII ტეხნიკუმის მოწაფეთაგან

ისტორიულად საქართველო მუდამ თავს იცავდა აგრესიულ ძალებისაგან, რომელნიც ხედავდენ მასში მხოლოდ თავის იარაღს, მხოლოდ საუკეთესო გზას მდიდარ აზიაში ბატონობისთვის.

ნაზარეველი როცა დაიღალა გოლგოთისკენ სვლით, მას ჯვარი კანანელმა ჩამოართვა, ტანჯვა შეუმსუბუქა; ასეთი გულწრფელი თანამგრძნობი, ასეთი კანანელი საქართველოს არ ჰყავდა; ის იბრძოდა მარტოდ-მარტო და თავისივე არსებაში პოულობდა ძალას და ენერგიას თავგანწირული ბრძოლისთვის.

ქართველ მეომარს მუდამ მხარში ედგა ქართველი ქალი თავის სულის სიძლიერით და დაჭრილ მეომრის ხელიდან გავარდნილ დროშას ახალის ენერგიით მაღლა სწევდა.

აღმოსავლეთის ქრისტიანულ ერებს შორის პირველად საქართველოში იწყეს ქალზე და მის უფლებებზე ლაპარაკი: „ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადია“,—
ამბობს ქართველი; პირველად საქართველოში გამოდის ქალი პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე: XII საუკუნეში მხოლოდ ქართველებს ყავდათ დიდი პოლიტიკოსი ქალი, მხოლოდ ქართველი მანდილოსნები მოქმედებენ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე ამავე საუკუნეში მომხდარ აჯანყების დასაცხრომათ.

ახალ ცხოვრებაშიც XIX საუკუნის ცხოვრებასა და ლიტერატურაში ჩვენ ვხედავთ ბევრ დიდებულ მოღვაწე ქალს, ერთი რომელთაგანიც თქვენ ბრძანდებით, ძვირფასო იუბილიარო.

თქვენ როგორც საზოგადო მოღვაწე და ამავე დროს ქართველი დედა ერთ უბრწყინვალეს ვარსკვლავად ევლინებით ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურას. თქვენ მაღლა გიჭირავთ ქართველი ქალის სულის სიმაღლის დროშა და ერთხელ კიდევ ამტკიცებთ, რომ ქართული სული მდიდარია, რომ საქართველოს აქვს, რითაც იამაყოს, რომ საქართველოს ჰქონდა და აქვს ბრწყინვალე კულტურა, მდიდარი და მრავალმხრივი მწერლობა აყვავებული ხელოვნება და ექნება მზიანი მომავალი.

XII ტეხნიკუმის მოწაფე-ქალები განსაკუთრებულის გრძნობით, განსაკუთრებულის სალამით ვხვდებით თქვენს 35 წლის იუბილეს, 35 წლის შრომას ქართული მოღვაწის, ქართველი ქალის. იმ დაფნის გვირგვინში, რომელსაც დღეს გადგავთ მშრომელი ერი, ერთ საუკეთესო მარგალიტად ქართველი ახალგაზრდა ქალებიც ვაქსოვთ ჩვენს სათუთს გრძნობას.

თქვენმა ღვაწლმა ქართველ საზოგადოებისადმი ნაყოფიერი თესლის სახით ღრმად ჩაატანა ქართველი ერის გულში.

ლტოლვა ყოფნისადმი და პატივისცემა სხვებისადმი!

ჩვენი ერი დაადგა განახლებულ ცხოვრების გზას და ამ სვლაში ცხოვრების მოლიპულ გზაზე მას თქვენი ლამპარიც უნათებს.

და ჩვენც ვეცდებით ქართველი ქალის სულის ძველებური სიძლიერით და სიმაღლით და ახალის შეგნებით ვემსახუროთ ჩვენს მზიანს ქვეყანას!

ვეცდებით არ დავცეთ ქართული კულტურის დროშა!

ვეცდებით თქვენმა შრომამ შესაფერისი და უხვი ნაყოფი გამოიღოს! ეს კი მომავალში საუკეთესო გვირგვინი იქნება თქვენთვის!..

**ელენე მამაცაშვილი**



გიორგი თაზიშვილი

# სახალხო თეატრის ცნობილ მსახიობ-მუშაკთა გალერეა

**ვ. ნინიძემ** სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1906 წ. ჭიათურაში ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით. მუშაობდა პროვინციაში. 1911 წლიდან შეუწყვეტლივ მუშაობს ტფ. სახალხო თეატრის სცენაზე. განუსახიერებია სხვადასხვა ხასიათის როლები: დათია—„ქრისტ.“, გიორგი—„კაც. სამ.“, ჩიქვანი—„გეგეჭ.“, მაქსი—„ციც.“, გიტო—„უნიად.“, სუთიძე—„მეზ.“ და სხ. მრ. იმერულ როლების ერთი საუკეთესო შემსრულებლად ითვლება.



ვანო ბარველი

**გ. თაზიშვილმა** 1904 წ. გორში რუს. დრ. დასში დაიწყო სასცენო მოღვაწეობა. 1907—10 წლებიდან ჯერ ვერის, შემდეგ ავჭალის აუდიტორიაში მუშაობდა. 1910—17 წლ. გორის მაზრაში გააჩაღა სათეატრო მუშაობა, ადგილობრივ ძალთაგან შეადგინა დასი და ხელმძღვანელობდა. სასცენოდ მოემზადა თვითგანვითარებით, სხვადასხვა რეჟისორთა და ქართ. სტუდიის საშუალებით. სთარგმნა რამდენიმე პიესა. მისი როლებია: გიგო—„მსხ.“, გიორგი სააკაძე—„უგ. მედ.“, ოთარ-ბეგი—„ლალ.“, ვახმისტრი—„სამხ. ბან.“, მეფე—„მეფ. და ლ.“ და სხვ. სახასიათო როლების ერთი ნიჭიერი შემსრულებელთაგანია.



ვიქ. ნინიძე

**მსახიობ-რეჟისორი** და მწერალის, ცენაზე გამოვიდა 1900 წ. ვლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით. მუშაობდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, უმთავრესად სახალხო თეატრების ხელმძღვანელად. 1923 წ. ისევე სახალხო თეატრში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ორიგინალურ რეპერტუარს. დაწერილი აქვს მრავალი მინიატურა, ესკიზები ჟურნალ-გაზეთებში. გადმოაქართულა შვიდამდე პიესა, სთარგმნა ამდენივე. ყველა სარეპერტუაროა. ამზადებს ა. შანშიაშვილის „სპარტაკი“ ს. განუსახიერებია მრავალი როლი: ხილონ, შვინდაძე, სოსიკო, სპირიდონა ფათერაკი, ბლოხინ და სხ.

## უცხოელს

თამამი ხედვა მიესალმა გადამწვარ ტუჩებს.
ვღელავ და გული გადაიპო ვით ბროწეული.
ასე მგონია ზღვის მეჯლისზე ვართ მოწვეული
და ეს ხაზები ძველ სურათებს გაარეტუშებს.
ჯერ ხომ არ გიცნობ, უცხოელო, პირველად გნახე.
იდუმალ ხილვით მივიზიდეთ ჩვენ ერთმანეთი.
მიბნედილ თვალებს ენატრება მთვრალი ზმანეთი:
შემთხვევა არის ამ ცხოვრების ბრმა მოკარნახე.
გამთბარ ტალღებად მომეხვია უცხო განცდები;
ქედმაღალ სულმა უნდა ჩაჰკლას ვნება ქალური,
მაგრამ... გადაწყდა აზრი მტკიცე და ფატალური:
შენს გამოხედვას, უცხოელო, ვეღარ ავცდები...

**მარიჯან**

## უთავბოლო ბაასი

რად არის ცხოვრება ასეთი... სასტიკი?...
ძველი სიტყვაა, გაცვეთილი...
ბოროტი—...უარესია...
რად არის ცხოვრება ისეთი რომ... ვისაც
გული აქვს... ავადმყოფია და ..
ვისაც თავი... შეშლილია...

რა ლამაზია ეს თეთრი ია?...
არა ლია?
მაგრამ ის მხოლოდ ყვავილია... სხვა არაფერი...
სხვა. .
რად მინდა?
რომ ვიცოდე მენდომება კი?!
საით მივდივართ?
ო, უკაცრავად!...
ფეხები ტალახში არ ჩაადგათ...

**ნინი ჩიხლაძე**

## ტანჯვის რკალები...

ტანჯვის რკალები გავარღვიეთ და წინ წავედით,
სიცოცხლის ცეცხლის გაღვივება გვწადდა გვენახა,
და აფეთქება რომ ვიხილეთ, ხელებსა ვწევდით,
ძველი ქვეყანა ერთად უნდა გადაგველახა...
და მყის შეირყა ძთა და ბარი... ავარდა ალი...
შრომის სამეფოს დასალტული გაეხვნა კარი,
ჩვენ შევადედეთ, შევადუღეთ რკინა და რვალი
ახალ ცხოვრების განთიადის ამღერდა ქარი...

**ბესარიონ პელაშვილი**

[ჟანდაკება. გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 7]

## მეორე მოქმედება

[ლევანის სასტუმრო ოთახი სოფელში. მოწყობილობა მდიდრულია, მაგრამ სოფლური. პირდაპირ, მარჯვენა მხარეს, დიდი ფანჯარა ღიაა. ფანჯრის იქით მოსჩანს აივანი, რომელზედაც სუფრა-გაშლილი მაგიდა სდგას. ფანჯრის გვერდზე კარებია. ეს კარებიც აივანზე გადის. როდესაც კარები ღიაა, ქვევითა სართულიდან ამოსასვლელი კიბე მოსჩანს. ოთახის მარცხენა მხარეს ლევანის საწერი მაგიდა სდგას, მარჯვენით — დივანი და სავარძლები. კედლებსა და იატაკზე ხალიჩებია. აივანზე მაგიდასთან **ქეთინო** და **ზურაბი** სხედან. **თამარიც** იქვე ფუსფუსებს. ოთახში არიან **ნინო, ლევანი** და **არჩილი**. ნინო და არჩილი ალბომს ჩასცქერიან, ლევანი ოთახში დადის. შუა დღეა. აივანს კაშკაშა მზე აშუქებს. ოთახში ფარდები ჩამოფარებულია].

**ნინო.** რამდენი სურათი მოგიგროვებიათ! მოდი ლევან, დახედე, რა მშვენიერი სურათებია!

**ლევ.** (ალბომში ჩაიხედავს) რა ალბომია?

**არჩ.** მოგზაურობის დროს სურათებს ვიძენდი. აქ ყველა იმ ადგილისა და ტიპების სურათებია მოგროვილი, სადაც ვყოფილვარ. დიახ, მოგზაურობა მიყვარს. ვიფიქრე, რატომ ამ ადგილების სურათები არ მოვაგროვო, სადაც ბედმა გადმომტყორცნა მეთქი, დიახ, და მეც მოვაგროვე. როგორც ხედავთ, მშვენიერი კოლექციაა, დიახ, მშვენიერი კოლექცია. მე უცხოეთში კოლექციონერების წრეში ვტრიალებდი და ამ ალბომს ძალიან აფასებდნენ.

**ნინო.** (სინჯავს) მშვენიერია, მშვენიერია!

**ლევ.** (ალბომში ჩაიხედავს) აი, ეს რა არის?

**არჩ.** ეს პატარა სოფელია. პარიზის მახლობლად. პირველად რომ პარიზში ჩაველი, ფრანგული არ ვიცოდი. მირჩიეს, სოფელში დასახლდი, იქ უფრო მალე შეისწავლი ენასაო. მეც აი ამ სოფელში წაველი. მშვენიერი პანსიონია, დიახ, ლამაზი, მაგრამ პანსიონზე მშვენიერი დიასახლისი იყო, დიახ, ლამაზი, მშვენიერი დიასახლისი. (იცინის) ისეთი კოპწია ფეხები ჰქონდა, დიახ, კოპწია ფეხები, რომ ეხლაც ტანში ჟრუანტელი მივლის.

**ნინო.** ჩვენც რომ წავალთ, ამ სოფელში დავსახლდეთ, კარგი ლევან!

**ლევ.** შენ მაინც უცხოეთში გამგზავრებაზე ოცნებობ.

**ნინო.** რა თქმა უნდა. თუ შენი საქმეები ასე კარგათ წავიდა, მერმის ზაფხულს უსათუოდ უცხოეთში წავალთ. აი სწორედ ამ სოფელში დავსახლდებით. აი აქ რა არის? მგონია პატარა ბაღია, ბაღში კი თითქოს აუზია. ამ აუზის გვერდით სკამს გავმართავ და საღამოობით აქ დავისვენებ ხოლმე. პარიზთან ახლოა?

**არჩ.** ძალიან ახლოა, ერთი საათის სავალია.

**ნინო.** პარიზშიაც ხშირ-ხშირად ვივლით. (ოცნებით) ოხ, როდის გაივლის ეს წყეული წელიწადი! არჩილიც, ალბათ, ჩვენი თანამგზავრი იქნება?

**არჩ.** (წამოდგება, ფეხი-ფეხს შემოჰკრავს და ისევ დაჯდება) მუდამ მზათ გახლავართ სამსახურისათვის.

**ნინო.** (აივნისკენ გაიხედავს) ქეთინო!

**ქეთ.** რა იყო?

**ნინო.** რას აკეთებ?

**ქეთ.** წიგნსა ვკითხულობ.

**ნინო.** წყალი მომიტანე.

(ქეთინო აივანზე გავა, წყალს დაასხამს და შემოიტანს).

**არჩ.** ბოლოშს კი ვიხდი შეწუხებისათვის, მაგრამ...

**ნინო.** ზურაბი სადაა?

**ქეთ.** აგერ აივანზეა. (არჩილს წყალს შემოუტანს).

**არჩ.** გმადლობთ!

**ქეთ.** არაფერს. (გადის და წიგნის კითხვას განაგრძობს)

**ნინო.** (ალბომს გადაშლის) ეს ვილაა, ბატონო არჩილ?

**ლევ.** (ჩაჰხედავს) ლამაზია.

**არჩ.** ეს ჩემი დიასახლისის ქალია, ბერლინელი დიასახლისისა.

**ნინო.** (სურათს გამოაძრობს და მეორე გვერდზე დაჰხედავს) ოჰო, წარწერაცა ჰქონია!

**არჩ.** სრულიად უმნიშვნელო წარწერაა, დიახ, სრულიად უმნიშვნელო წარწერა. მიბოძეთ, წაგიკითხოთ: „ბატონს არჩილს. ნიშნად ჩემი პატივისცემისა“.

**ნინო.** სახელი? სახელი?

**არჩ.** ლუიზა.

**ნინო.** (თავისთვის) ლუიზა, ლუიზა! ლამაზი სახელია! გერმანია არ მომწონს, ჩვენ საფრანგეთში წავალთ.

**არჩ.** რა თქმა უნდა! სად საფრანგეთი, სად გერმანია! მარტო პარიზი რათა ღირს. გერმანია დაუთოებული ქვეყანაა.

**ნინო.** (იცინის) როგორი?

**არჩ.** ღმერთს გეფიცებით. კრახმალ-წასმული საყელოსავით პრიალი გააქვს, მაგრამ პარიზს სილამაზით როგორ მოეწევა! პარიზი, ო, ეს შესანიშნავი ქალაქია.

**ნინო** ოჰ, ღმერთო ჩემო, როდის გაივლის ეს დაწყევლილი წელიწადი!

**ლევ.** მერე კი, ჰერი-გიდი პარიზისკენ! (იცინის).

**ნინო.** რას იცინი? გარწმუნებ, თუ ჩვენი საქმეები ასე წავიდა, მერმის ამ დროს პარიზში ვიქნებით. ხომ ხედავ, რამდენი დანაკვეთი გაქვს. რაც მიღებული გაქვს, ჯერ ისიც საკმარისია. ნუ თუ მთელი წლის განმავლობაში ახალი დამკვეთელი აღარ გაგვიჩნდება. შენ ისე იმუშავე, როგორც დღემდის მუშაობდი და ფულის მოგროვება ჩემს კისერზე იყოს.

**არჩ.** მაგისი ფიქრი არ უნდა გქონდეთ. ფულს ეხლა ყოველთვის იშოვნით. თქვენმა სახელოსნომ უკვე სახელი მოიხვეჭა.

**ლევ.** (სივრცეს გასცქერის დაღონებული) სახელოსნომ მოიხვეჭა სახელი, მე კი — დავკარგე.

**ნინო.** (შემკრთალი ლევანს შეხედავს) კარგი, ლევან! ძველებურათ ვიშ-ვიშს ნუ დაიწყებ!

**ლევ**. არა. მე ისე ვამბობ, ჩემთვის.

**ნინო**. ნურც შენთვის ამბობ. საჭირო არ არის.

**ზურ**. (ერთბაშათ წამოხტება და ფანჯარასთან მოიჭრება) ბატონო არჩილ! ჩქარა თოფი გამოიტანეთ, თოფი! ჩქარა თოფი.

**არჩ**. (ზურ აბისკენ წავა) რა მოხდა?

**ზურ**. ვენახის ბოლოში ჩირგვებში კურდღელი შეძვრა. ჩქარა, ჩქარა, აქედან დავინახე. (კიბეზე ბრახუნით ჩაეშვება)

**არჩ**. თქვენი ზურაბი შესანიშნავი ყმაწვილი იზრდება. ნადირობა უყვარს, ეს ძალიან კარგია, დიახ. ძალიან კარგია. უცხოეთში მონადირეთა წრეში ვტრიალებდი და ვიცი რა დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ნადირობას. მართალია, მორალისტები წინააღმდეგი არიან ნადირობისა, მაგრამ მე მათ არ ვეთანხმები, დიახ, არც შეიძლება ადამიანი დაეთანხმოს.

**ლევ**. (ფანჯარასთან მივა) სად დაინახა კურდღელი?

**არჩ**. (ფანჯარასთან მივა) როგორ მირბის! ყოჩაღია. შესანიშნავი ყმაწვილია, დიახ ნამდვილი ევროპიელი გამოვა.

**ნინო**. (ფანჯარახთან მივა) თუ ღმერთი გწამთ, თოფს ნუ აძლევთ ხოლმე, ბატონო არჩილ! აბა უცქირეთ რა გაафთრებული მირბის. უბედურება რამ არ აიტეხოს (უცბათ შეკრთება, აღელვება შეემჩნევა) ის ვინ არის?

**ლევ**. აბა სადა?

**ნინო**. აქეთ მოდიან. კაცი და ქალი. კაცი ლუარსაბია, ქალი ვილაა?

**ლევ**. (მცირე პაუზის შემდეგ ჩუმად) ელენეა.

**ნინო**. აქ რა უნდა? რად მოსულა?

**ლევ**. ლუარსაბთან სტუმრად არის.

**არჩ**. (პენსნეს გაისწორებს და გზას ჩააცქერდება) ლამაზი ქალი სჩანს. ახალგაზრდაც უნდა იყოს. აქეთ მოდიან, ლუარსაბი თქვენ სახლს აჩვენებს.

**ნინო**. (აღელვებული ფანჯარას მოსცილდება) რად დასჭირდა აქ მოსვლა? განა ელენე ლუარსაბის ნათესავია?

**ლევ**. (მოკრძალებული კილოთი) ნაცნობია.

**ნინო**. უცნაურია, ღმერთმანი. ჩვენთან მოდიან.

**ლევ**. როგორც ეტყობა.

**არჩ**. (ფანჯარაში გაიხედავს) დიახ აქეთ მოდიან!

**ნინო**. თქვენ დაუხვდით.

**ლევ**. (შეშფოთებული) შენ სადლა მიდიხარ?

**ნინო**. არ ვიცი... ოთახში ვიქნები... არ ვიცი... მოვალ. თქვენ დაუხვდით. (გადის)

**არჩ**. თქვენი მეგობარი ლუარსაბი ნამდვილი კამეჩი ყოფილა; რა ზორბაა. კეტიც რამოდენა უჭირავს.

**ლევ**. (აღშფოთებული კილოთი) უცხოეთში რომელ წრეში იციან მაგნაირი შედარება.

**არჩ**. (შემკრთალი) უკაცრავად.. მე საწყენად ار მითქვამს... ვიხუმრე.

**ლევ**. (ნაწყენი) ვერ არის კვიმატიანი ხუმრობა.

**არჩ**. (პრანჭვით) ბოდიშს ვიხდი.

**ლევ**. (სახეზე ირონიული ღიმილი გაუთამაშებს) ნუ სწუხდებით.

(სცენის გარეთ ლაპარაკი და ელენეს მხიარული კისკისი ისმის. ცოტა ხნის შემდეგ კიბეზე **ელენე** გამოჩნდება. უკან **ლუარსაბი** მოსდევს. ელენეს თეთრი ინგლისური ტანისამოსი აცვია. ხელში პატარა ჯოხი უჭირავს. ორი ქერა ნაწნავი მხრებზე სცემს. დიდი, ცისფერი თვალები აქვს, ხშირი შავი წარბები ცისფერ თვალებზე განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ სილამაზეს აძლევს მის მოძრავსა და ცოცხალ სახეს. საშუალო ტანისაა, მოხდენილი და ჯანსაღი აგებულობისა. ცხვირსა და ლოყებზე ოდნავ ჭორფლი აყრია. ხელში წიგნი უჭირავს. ლუარსაბს სოფლურად აცვია. კიბეზე ამოსვლის დროს მის დიდსა და მაღალ-ყელიან წაღებს ბაკა-ბუკი გააქვს. უბრალო, ტილოს ხალათი აცვია. წელზე ვიწრო აბრეშუმის სარტყელი აქვს შემოკრული. დიდი ჩალის ქუდი ჰხურავს. კიბეზე ქშენით ამოდის და ხელსახოცით ოფლს იწმენდს. უზარ-მაზარი კეტი იღლიაში აქვს ამოდებული)

**ლუარ**. მეტი აღარ შემიძლიან, დავიღალე!

**ელენე**. არა გიშავთრა, არ მოკვდებით!

**ლევ**. (მიეგებება) მობრძანდით.

**ელენ**. (ცოტა ხანს კარებში გაჩერდება) მიგვიღებთ?

**ლევ**. მობრძანდით! ყოველთვის სასიამოვნო სტუმარი იქნებით. (არჩილს გააცნობს) გთხოვთ იცნობდეთ ჩემი... ჩვენი კარგი ნაცნობია.

**ელენ**. (დააცქერდება) თითქოს სადღაც მინახვიხართ. (ჩაფიქრდება) გამოფენაზე ხშირად ხომ არ დადიხართ? თუ თეატრში გნახეთ? ერთი სიტყვით, ნაცნობი სახეა.

**ლევ**. (ღიმილით) ადვილი შესაძლებელია. არჩილი აქაც არის, იქაც... ყველგან არის.

**არჩ**. (სიტყვას გააწყვეტინებს) ადვილი შესაძლებელია, დიახ ადვილი შესაძლებელია. გამოფენაზედაც დავღივარ, თეატრშიაც, იქაცა ვარ, აქაც; უეჭველია სადმე მნახამდით.

**ლუარ**. ერთი სიტყვით, უნივერსალური ადამიანია! (არჩილს) გთხოვთ, მიცნობდეთ, ლევანის მეზობელი და მეგობარი გახლავართ! ხელს გაუწოდებს)

**არჩ**. ფრიად სასიამოვნოა. (ხელს ჩამოართმევს, შორს სკამზე დაჯდება და გაოცებული ლუარსაბს შესცქერის)

**ელენ**. (არჩილს) როგორ გვიბღვერით. არ გიხდებათ. წარბი გაშალეთ. ლუარსაბი კეთილი ადამიანია. უზარმაზარ კეტს მარტო ავი ძაღლების მოსაგერებლად ატარებს. (ლუარსაბს) აბა, ერთბაშად მითხარით, რამდენი წიწილა გყავთ?

**ლუარ**. (ღიმილით) ოთხმოცდა ცხრამეტი.

**ელენ**. მაშასადამე ასს ერთი აკლია.

**ლევ**. იმასაც, ალბათ, მალე გააჩენს, თუ შესაფერისი კრუხი იშოვა.

**ელენ**. (ლევანს თითს დაუქნევს) ლუარსაბს მეგობარი სჭირდება. კარგს ადამიანს კარგი მეგობარიც უნდა.

**ლუარ**. ამ ჭალარას მეგობრებზე ზრუნვა აღარ შეჰშვენის. ეხლა სხვა მეგობრები მყავს... ჩემი წლოვანება...

**ელენ**. წლოვანებათა განსხვავება უძლურია იქ, სადაც გული სამეგობროდ გადაშლილს გულს შეჰხვდება.

**ლევ**. არა ყველგან და არა ყოველთვის.

**ელენ**. ყველგან და ყოველთვის, როდესაც და სნეულებული გული მეგობარს ეძებს.

**ლევ**. თუ მაშინ, როდესაც მიძინებული გრძნობა და ჩაფერფლილი ალმაფრენა მწუხრის ჟამს ბორკილთ დამსხვრევას ჰლამობს.

**ელენ**. (მცირე პაუზის შემდეგ) გარდაცვლილი ღმერთი! (უცბათ არჩილისკენ გაემართება) თქვენ როგორღა ჰფიქრობთ?

**არჩ** ჰმ... მე... რა მოგახსენოთ.

**ელენ**. აი ამ წიგნში ერთი შესანიშნავი მხატვრის ისტორიაა მოთხრობილი. ცხელს უდაბნოში ობლად მოხეტიალე მხატვარი წყაროს ეძებდა, სიცოცხლის წყაროს. დიდი ტანჯვა გამოიარა. მზისგან გახურებულმა ქვიშამ ფეხები დაუხეთქა, დაუწყლულა. ტანისამოსი შემოეფლითა. სახე ჩაუჟანგდა. მაგრამ ის სულ წინ მიდიოდა და სიცოცხლის წყაროს ეძებდა. ამ ძიებაში ძალღონე შემოაკლდა. უსაზღვრო ტანჯვის სიმძიმის ქვეშ წაიქცა და მომაკვდავი, მიბნედილი თვალები სასოებით ცას მიაპყრო. ტუჩზე ღიმილი არ მოშორებია. მზეს უცინოდა მისი იმედით აღსავსე თვალები და ისე იძინებდა საუკუნო ძილით.

**ლევ**. მაინც იძინებდა.

**ელენ**. (გატაცებული) როგორც მეფე, როგორც მსოფლიოს გვირგვინი, როგორც ღმერთი და არა როგორც მონა.

**ლევ**. ღმერთი, რომელსაც ვერ შეუძლიან უდაბნო წალკოტად აქციოს; ღმერთი, რომელიც ცხოვრების საშინელი ამოცანის წინა თრთის, თითონვე უკვირს, რომ სადღაც სასწაულით საცოდავმა ნაკადულმა ამოხეთქა; გალიაში დამწყვდეული ღმერთი, რომელიც თავს იმითი უნუგეშებს, რომ გალიიდან ამოხტომა ვერ შეუძლიან.

(შორიდან თოფის ხმა ისმის. ელენე შეკრთება. ლუარსაბი ფანჯარასთან მივა)

**არჩ**. (უცბათ წამოხტება, ტაშს შემოჰკრავს), მოჰკლა!

**ელენ**. მოჰკლა?

**არჩ**. კურდღელი მოჰკლა. ზურაბმა კურდღელი მოჰკლა. შესანიშნავი ყმაწვილია, ნამდვილი ევროპიელია. (ფანჯარას მივარდება) დაითრია, რამოდენა კურდღელი დაითრია! (ელენეს გამხიარულებული) წარმოიდგინეთ, უცხოეთში მონადირეთა წრეში ვტრიალებდი და ამოდენა კურდღელი ჯერ არ მინახავს.

**ლუარ**. ბაჭიაა.

**არჩ**. დიახ, დიახ. შესანიშნავი კურდღელია.

**ლუარ**. ბაჭიაა-მეთქი.

**არჩ**. დიახ, მეც მაგას მოგახსენებთ. შესანიშნავი ბაჭიაა!

(ყველანი იცინიან)

**არჩ**. (ნაწყენი) ყოველ შემთხვევაში აქ დასაცინი არაფერია! მე დიდი ხანია უცხოეთში ვცხოვრობდი და სახელები დამავიწყდა!

(შემოდის ნინო. ძვირფასი კაბა აცვია. წამოწითლებულია, აღელვება ეტყობა, თუმცა მღელვარების დაფარვასა სცდილობს. საზოგადოთ ლაპარაკსა და მიხვრა-მოხვრაში მოუსვენრობა ემჩნევა. ელენეს ღიმილით მიესალმება და ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერებს)

**ნინო**. როგორ მოხდა, ჩვენსკენ გამოგისეირნიათ. თუმცა ქალაქში ეხლა ისეთი სიცხეა, რომ ყველამ სოფელს მიაშურა.

**ელენ**. სიცხემაც შემაწუხა და მეგობრის ნახვაც მომინდა.

**ნინო**. (ლუარსაბს გადაჰხედავს) ო, ლუარსაბი მშვენიერი სამეგობრო ადამიანია!

**ელენ**. ლუარსაბიც, ბატონი ლევანიც.

**ნინო**. (მცირე პაუზის შემდეგ) თუ თქვენისთანა ახალგაზრდისთვის ლევანი უკვე მობერებული არ არის.

**ელენ**. (მხიარულად) სრულიადაც არა, სრულიადაც არა! ლევანი ახალგაზრდების მეგობარია. ჩვენ ყველას, ახალგაზრდების მეგობარია. ჩვენ ყველას, ახალგაზრდებს, ბატონი ლევანი ჩვენს მასწავლებლად მიგვაჩნია და ძალიანაც გვიყვარს. მართალია წელს ჟიურიმ პრემია სხვას მიუსაჯა, მაგრამ...

**ნინო**. (სიტყვას გააწყვეტინებს) ღვთის გულისთვის, მაგ საგანზე ნულარ ვილაპარაკებთ. წარსულის მოგონება საჭირო არ არის, მით უფრო ისეთი წარსულისა, რომელიც ლევანის თავმოყვარეობის საკითხს შეეხება. ბატონმა არჩილმა იცის, როგორი წესით იღებენ ჩვენში პრემიას.

**არჩ**. არა მარტო ჩვენში. საზოგადოთ. მე, მოგეხსენებათ, უცხოეთში მხატვრების წრეში ვტრიალებდი და ძალიან კარგათ ვიცი, რომ უპროტექციოთ არაფერი კეთდება. ეს უკვე, ასე ვსთქვათ, დაკანონებული ჩვეულებაა, დიახ, დაკანონებული ჩვეულებაა.

**ნინო**. მხოლოდ უკვირს, როდესაც პროტექციაზე ვლაპარაკობთ.

**ელენ**. იმიტომ, რომ ლევანი მხატვარია.

**არჩ**. (ირონიული ღიმილით) ევროპის მხატვრები მაშ მხატვრები არა ყოფილან!

**ნინო**. როგორცა სჩანს.

**ელენ**. ჭეშმარიტი მხატვარი არც ევროპაში იკადრებს მაგნაირ საქმეს.-

**ნინო**. არ იკადრებს და მშიერი მოკვდება.

**არჩ**. რა თქმა უნდა!

**ელენ**. ნიჭი ფულისთვის არ იბრძვის.

**ნინო**. (თვალში მკრთალი ირონია გაუთამაშებს) სახელისათვის ახალგაზრდამ იბრძოლოს.

**არჩ**. ქალბატონო ელენე, ეგ აზიური შეხედულებაა. დიახ, აზიური შეხედულებაა, თითქოს ნიჭი განყენებულ რამ მიზნებს ისახავდეს. ნიჭი ცხოვრებისათვისაა, დიახ, ცხოვრებისათვისაა. ევროპიელს სასაცილოდაც არ ეყოფა მხატვრის თავგანწირულობა. მომეცით მთელი სიტკბოება. არ გინდათ? კომერსანტი გავხდები... პლანტატორი... ღენერალი... მინისტრი, რომელიც გნებავთ.

**ნინო**. რა თქმა უნდა. ჩვენში ყველაფერი მუქთად უნდათ.

**ელენ**. (ჩაფიქრებული უსმენს. არჩილს ცნობისმოყვარეობით უცქერის, ზოგჯერ სახეზე ღიმილი უთამაშებს. მერე ლევანს გადახედავს და მის დაღონებულ სახეს რომ დაინახავს, ფიქრებიდან გამოერკვევა, საათს შეხედავს) უკვე სამი საათი ყოფილა. ლუარსაბ, დროა!

**ნინო**. სად მიეშურებით? ბარემ ერთად ვისადილოთ,

**ელენ.** (დაღონებული ლევანთან მივა) ჩვენი მასწავლებელი ეგეთი არ არის. ჩვენი მასწავლებელი არც სახელს ებრძვის, არც ფულს. იგი თავის სულს ებრძვის, შემოქმედების მშფოთავ სულს. (კეკლუცის ღიმილით) მართალს არ ვამბობ? (ნინოს) მე ლუარსაბის სტუმარი ვარ და მისი ტრადიციული გრძნობა მასპინძლობისა თუ არ აღშფოთდება, თქვენთან დიდი სიამოვნებით ვისადილებდი.

**ნინო.** თქვენ ისე კარგათ გცოდნიათ მეგობრების მოჯადოება, რომ ლუარსაბი თქვენს სურვილს წინ ვერ გადაელობება.

**ელენ.** (გაოცებული ნინოს შეხედავს) მეგობრების მოჯადოება?

**ნინო.** (აივნისკენ წავა) ლუარსაბზე მოგახსენებთ. (აივნიდან გასძახებს) სუფრა გაშალეთ. (ხმა გარედან: „მზათ გახლავთ“) მობრძანდით. (სტუმრებს გაიპატიჟებს აივანზე, სადაც მსახური სუფრასა შლის).

(ყველანი აივანზე გავლენ და სუფრას შემოუსხდებიან. ისმის დანებისა და ჭურჭლის ხმა. დრო-გამოშვებით მსახურს საჭმელები შემოაქვს)

**არჩ.** მშვენიერი ზუთხია. ღვინო სადაურია?

**ნინო.** წითელი ჩვენი ვენახისაა, თეთრი კახურია.

**არჩ.** (ელენეს) თქვენ წითელს მიირთმევთ თუ თეთრსა?

**ელენ.** სულ ერთია. თეთრი დაასხით.

**ლევ.** ეს თევზიც მიირთვით. მიირთვით. განსაკუთრებული ღირსება ამ თევზისა ის არის, რომ ლუარსაბმა დაიჭირა.

**ელენ.** (სიცილით) კიდეც იმიტომ მეუბნებოდით, სადილათ არსად გაგიშვებთო. აბა, მომაწოდეთ.

**არჩ.** ღვინოს რატომ არ მიირთმევთ.

**ელენ.** ნულარ დამისხამთ, თორემ დავითვრები.

**არჩ.** დაითვრებით და ბრძენიც გახდებით. ხომ გახსოვთ, ბრძენმა რომ სთქვა, მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავსო. მთვრალი იქნებოდა. აი ეხლაც, ჯერ მთვრალი არა ვარ, მაგრამ მაინც ბრუნავს. ყველაფერი ბრუნავს, მაშასადამე, დედამიწაც ბრუნავს, დიახ. მთვრალი იქნებოდა. წარმოიდგინეთ მდგომარეობა ისეთი ადამიანისა, რომელიც ყოველთვის მთვრალია! იმისთვის დედამიწა ყოველთვის ბრუნავს. ჩემთვის კი ხან ბრუნავს, ხან არა ბრუნავს იმის და მიხედვით, მთვრალი ვარ თუ ფხიზელი.

**ელენ.** (სიცილით) მშვენიერია. ბუნების კანონი ჩემში ზის-თქო, ყურს საითაც მინდა, იქით გამოვაბამ-თქო.

**არჩ.** რასაკვირველია! ბუნება! რა არის: ერთი მითხარით. ბუნება? უცქერი, უცქერი და ვფიქრობ: აი, ეხლა არის, ხვალ აღარ იქნება.

**ლევ.** რა, ბუნება?

**არჩ.** არა. აი ეს წიწმატი. (მწვანილს პირში ჩაიდებს).

**ელენ.** კმარა, ბატონო არჩილ, კმარა, თორემ უკვე დავითვერი.

**არჩ.** მეც მთვრალი ვარ, დიახ, მეც მთვრალი ვარ. თქვენისთანა მშვენიერების სიახლოვე მეკი არა, თვით მეუდაბნოესაც დაათრობდა და გონებას აუმღვრევდა.

**ელენ.** ფრთხილათ იყავით, ბატონო არჩილ! ღვინომ ისეთი არაფერი გათქმევინოთ, რაც გამოფხიზლების შემდეგ სინანულში ჩაგაგდებთ.

**არჩ.** როდესაც ლამაზ ქალთანა ვზივარ, ჩემთვის სიფრთხილე არ არსებობს. მზადა ვარ აბობოქრებულ ზღვაში გადავარდე და...

**ლუარ.** ცურაობა იცით?

**არჩ.** არა.

**ლუარ.** დაიხრჩობით.

**ზურ.** ვაშა, ძია ლუარსაბ!

(ყველანი იცინიან)

**ლევ.** დუეტი იმღერეთ. (ელენეს) თქვენ მღერით. არჩილიც მღერის

**არჩ.** შესანიშნავია. თქვენ სიმღერა გცოდნიათ.

**ელენ.** ვიმღერებ. გიტარა გაქვთ?

**ლევ.** (მსახურს გასძახებს) გიტარა მოიტანე. (მსახური გიტარას მიაწოდებს)

**არჩ.** (ჩამოართმევს) რას იმღერებთ?

**ელენ.** სულ ერთია. (ლევანს) რა გნებავთ?

**ლევ.** მე ყველაფერს სიამოვნებით მოვისმენ.

**არჩ.** „მხოლოდ შენ ერთს“...

**ელენ.** კარგი

(მღერიან რომანსს „მხოლოდ შენ ერთს“).

**არჩ.** შესანიშნავი ხმა გქონიათ! სულ გულღვიძლი გადამიბრუნდა. (ელენეს ღვინოს დაუსხავს)

**ელენ.** კმარა, ბატონო არჩილ, კმარა! თორემ დავითვრები და... ბევრს სისულელეს ჩავიდენ.

**არჩ.** ოჰ, ღმერთო ჩემო. რა სასიამოვნო რამ იქნება ის სისულელე.

**ლევ.** (მგრძნებარე თვალებით ელენეს ჩასცქერის) კიდევ იმღერეთ.

**ელენ.** დიდის სიამოვნებით. თქვენ სანამ მსხალი გამიფცქვენით.

**ლევ.** (მსხალს აიღებს და ფცქვნის) დიდის კმაყოფილებით!

(ელენე მღერის)

**ელენ.** მსხალი?

**ლევ.** მსხალი მზათ არის, მაგრამ მოგცემთ ერთის პირობით...

**ელენ.** (ხელიდან გამოსტაცებს) არავითარი პირობა

**ლევ.** (წართმევას დააპირებს) უპირობოდ არ შეიძლება.

**ელენ.** (წამოხტება) არ დაგანებებთ. (სიცილით ოთახში შემოვარდება).

**ლევ.** (გამოჰყვება. ცალ ხელში სალფეტკი უჭირავს) ელენე!

**ელენ** (უცბათ შესდგება) გისმენთ.

(აივანზე არჩილი მღერის რომანსს „დავრდომილი სნეული“)

**ლევ.** (აღელვებული) ელენე!

**ელენ.** (მსხალს ტუჩებთან მიუტანს) ჩაკბიჩეთ (ლევანი მსხალს ჩაკბიჩავს) მეტი არ გერგებათ.

**ლევ.** (სალფეკტს გაადაგდებს) რატომ?

**ელენ.** დაიმსახურეთ.

**ლევ.** რით?

**ელენ.** განახლებულის ცხოვრებით.

**ლევ.** (აღტაცებული) ელენე!

(შემდეგი იქნება)

# სახალხო თეატრის იუბილე და მისი კრებული*)

ჩვენს ლიტერატურას კიდევ ერთი ახალი წიგნი შეემატა „სახალხო თეატრის საიუბილეო კრებული“-ს სახით. სახალხო თეატრთან ახლოს მდგომი პირი, რომელსაც მისი ისტორია კარგად აქვს შესწავლილი, მიხვდება, რომ ამ კრებულის ზოგიერთი ადგილი უცოდინრათაა შედგენილი; თუმცა სარედაქციო კოლეგია წიგნის ბოლოში აღნიშნავს დროს უქონლობას, მაგრამ სულ სხვაა დროს უქონლობა, სულ სხვა უცოდინარობა.

ძნელია, როდესაც კაცი ასეთ სერიოზულ საქმეს იკისრებს და მისი შინაარსი კი არ ეცოდინება. თუ ასე იყო საქმე, მას შეეძლო წაეკითხა სახალხო თეატრის ისტორია გიორგი ჯაბაურისა, რომელიც იბეჭდებოდა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ში და იქიდან მიეღო რამდენიმე გაკვეთილი, გასცნობოდა კარგა საქმეს და მერე ისე დაეწყო. რომ გადაშალო პირველი გვერდი, სადაც დახატულია იმ მუშების სურათები, რომლებმაც დაარსეს და შექმნეს სახალხო თეატრი, სულ არეულია: ზოგან სწერია „ჯგუფი“, ზოგან „დაარსების პირველი ინიციატორნი“. როგორც ეტყობა ამ წიგნის შემდგენს ეჩოთირება მათ უწოდოს **სახალხო თეატრის დამაარსებელი მუშები**, რაც ნამდვილია. ვასო თევდორაშვილის მაგიერ სწერია ა. ჯანიაშვილი, ნიკოგოსოვის მაგიერ — დავით შველიძე და შველიძეს მაგიერ ან. ნიკოგოსოვი. ვერ ნახავთ ცალკე სურათებს იმ პირთა, ვისაც დიდი ამაგი მიუძღვის სახალხო თეატრში და უმუშავნია 20-ან 15—10 წელი. არ არის სხვა რეჟისორებთან ერთად სურათი იოსებ იმედაშვილისა, როგორც სახალხო თეატრის პირველ რეჟისორისა, აკლია სხვა რეჟისორების სურათიც, მაგ. სოფრომ მგალობლიშვილისა, ნ. ავალიშვილის, ს. სვიმონიძის, კოტე ყიფიანის, კ. მესხის, ვიქტორ გამყრელიძის და გედეონ მირაღიანის, რომელთაც დიდი ენერგია დაუხარჯავთ სახალხო თეატრში. ბოლოს გადაშლილია მსახიობების მეტრიკის ამონაწერი, თუ ვის სად დაუწყვია მოღვაწეობა ან როდის, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სახალხო თეატრთან. არის ზოგიერთი შეცდომებიც მაგ. თ. გოგოლაშვილი და თ. ბაქრაძე თითქმის სახალხო თეატრის დაარსებიდანავე მუშაობდნენო. არ არის მართალი. დაარსებიდან იყვნენ ეკატერინე იოსელიანის (ჯაბაურისა), კატო წულუკიძე და ანნა ჩაჩიბაიას ქალი. თამარა გოგოლაშვილი და თამარა ბაქრაძე კარგა ხნის შემდეგ მოვიდნენ. არის სხვადასხვა მწერლის ნაწერები, რომლებიც თავთავიანთ ნაწერებს უძღვნიან სახალხო თეატრს. ყველა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახალხო თეატრმა დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერს; მან გამოუზარდა რევოლიუციას თავის შვილები, სახალხო თეატრი მშრომელი ხალხის აღზრდა-განვითარებას და შეგნებულათ დარაზმვას ემსახურებოდაო. ერთის სიტყვით დიდს ქება-დიდებას ასხამენ მის დამაარსებლებს, შემქმნელებს თავის კალმით და ერთიც არავინ აღნიშნავს თავის ნაწერში მათ გვარებს, ვინც ეს დიდებული საქმე ჩაგვაბარა. ან არ იციან მათი ვინაობა, ან განგებ ხუჭავენ თვალებს.

*) ამ წერილს ვბეჭდავთ ავტორის დაბეჯითებითი მოთხოვნის გამო უცვლელად. რედ.

აიწია საზეიმო ფარდაც. სცენა სავსეა. ულოცავენ სხვადასხვა წარმომადგენელნი მის დამაარსებლებს, მერე ვინ არიან ეს დამაარსებელნი?!... გვარებს არავინ იძახის. სხვათა შორის, ერთი რუსი დელეგატი აღნიშნავს დამაარსებლების დიდს ღვაწლს, იძახის, რომ სამწუხაროთ ეხლა ისინი ცოცხლები აღარ არიანო, იქვე კუთხეში კი დგანან ვასო თევდორაშვილი - პირველი თავმჯდომარე, იოსებ იმედაშვილი — პირველი რეჟისორი, გიორგი ჯაბაური — მთავარი როლების შემსრულებელი და პირველი სცენის გამკეთებელი, მიშა თუშმელიშვილი — მუდმივი მოკარნახე, ერთის სიტყვით ის სახალხო თეატრის დამარსებელი მუშები, ვისზედაც ესენი ლაპარაკობენ. მხოლოდ ერთმა დელეგატმა კი აღნიშნა, რომ აქ ორ პიროვნებას ვხედავ სახალხო თეატრის დამაარსებლებსაო. ესენი არიან იოსებ იმედაშვილი და გიორგი ჯაბაურიო. ზოგიერთ დელეგატმა თუ არ იცოდა, რომ ცოცხლები არიან ისინი თუ არა, ეს ზოგიერთებმა ხომ კარგათ იცოდენ და პირადათ იცნობდნენ კიდეც. მაშ რათ გადააფუჩეჩეს ესე, არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ მუშები არიან?!...

წიგნის მე VI გვერდზე დაბეჭდილია:

**სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობის წესდება.—**

**მიზანი.—სამოქმედო წესები და მოვალეობა.**

ეს წესდება სავსებით ამტკიცებს იმ საქმიანობას, რომელიც ჰქონიათ მაშინ ხელოსანთა ამხანაგობას. გარდა იაფფასიან წარმოდგენების მართვისა, მათ აზრათა ჰქონიათ განაპირა უბნებშიაც მოწყობა წიგნთსაცავ-სამკითხველოსი, მომღერალთა გუნდის. როგორც ეტყობათ ზოგიერთი ინტელიგენტთა ფუქსავატობა მათ მაშინვე შეუგნიათ, რომ წესდებაში აღნიშნული აქვთ: წევრებათ მარტო ხელოსნების მიღება შეიძლებაო. იმავე წესდებაში აღნიშნავენ, რომ როლი ყველამ უნდა იცოდეს, რეჟისორის წინააღმდეგობა არ გამოდგება, ამასთანავე უნდა გაეცნოს ქართულ ლიტერატურას, გათვითცნობიერდეს... ყოველი სცენისმოყვარე მომზადებული ისე უნდა შედიოდეს სცენაზე, როგორც ეკლესიაში და ამ სახალხო თეატრის სცენას თავის ოჯახივით უცქეროდესო. ამასთანავე ფიცს სდებენ, რომ ამ წმინდა საქმეს არ უღალატონ.

ისე ლამაზათ და კარგათ არის ეს წესდება, დაწერილი, რომ ყოველი იმისი სიტყვა ძვირფასია და დიდი მასალა იქნება მომავალი ისტორიკოსისათვის.

მერე ვინ შეადგინა ეს ლამაზი წესდება ამაზე არავინ არაფერს იძახის და არც ამ წიგნის შემდგენს გაუცხელებია თავი მის გასაგებათ, თუ იცოდა, და, როგორც ყველაფერი, ესეც ისე გადააფუჩეჩა?!.. ვინ იცის, ყველაფერი მოსალოდნელია! მე, რამდენადაც ვიცი, მქონია კერძო ლაპარაკი იმ სახალხო თეატრის დამაარსებელ მუშებთან. მათ უთქომთ, ეს წესდება შეადგინა და დაწერა ჩვენმავე ამხანაგ-რეჟისორმა იოსებ იმედაშვილმა და წაგვიკითხა, რომელიც ჩვენ სავსებით მივიღეთ და ძალიანაც მოგვეწონა იმიტომ რომ ყოველივე ჩვენი აზრი მთლად გატარებული იყო იქაო. ეს იყო 1893 წ.—თუ კი ეს მე გავიგე, უეჭველია ამ წიგნის შემდგენიც გაიგებდა, მაგრამ...

**ნ— შვილი**

# დაბა-სოფლის თეატრები

## სახალხო სახლის საკითხი თელავში

**თელავი** ერთი ულამაზესი სამაზრო ქალაქია მთელ საქართველოში, მდიდარი ბუნებით, ლამაზი მდებარეობით, ურიცხვი ბაღებით და უხვი წყლებით. აქვეა მშვენიერ ადგილას მეფე ერეკლეს დროის აშენებული შენობები, კოშკები, რომელნიც ამაყად დაჰყურებენ ალაზნის ველებს და გვაგონებენ ჩვენ წინაპართა ცხოვრებას. აი, ამ ყოველმხრივ შემკულ ქალაქს აქვს ერთი დიდი ნაკლი. ეს არის სახალხო სახლის უქონლობა. სახალხო სახლი,—ეს ხომ მთელი თავისი შინაარსით ყველაფერია ჩვენი გათვითცნობიერებისათვის, უკულტურო ხალხის გაკულტურების, ღვარგის ადამიანების გავარგისება-გაკეთილშობილების საშუალება, ტაძარი, სადაც უნდა ვისწავლოთ მაღალი მცნება ძმობა, ერთობა და სიყვარული. და, აი, ასეთი სახლი ჩვენ თელაველებს არა გვაქვს. ეს არის სირცხვილი, ეს არის თუ გნებავთ, დანაშაულიც მომავალ თაობის წინაშე.

სახალხო სახლის საჭიროება წინადაც ბევრჯერ წამოჭრილა ჩვენს წინაშე, რადგან ის პატარა დარბაზი, რომელსაც კლუბს ეძახიან და იტევს მხოლოდ ორასიოდე სულს, ვერ აკმაყოფილებდა დიდს მოთხოვნილებას, მაგრამ, სამწუხაროდ, კითხვა კითხვად რჩებოდა. წარსულ ზაფხულს ეს კითხვა წამოაყენა ხელ-ახლა სამსონ ცინცაბაძემ (ალმასკომის ყოფ. თავმჯდომარემ), ცოტა ფულიც იშოვნა, დიდი ზეიმით გაიჭრა საძირკველი პირველ მაისს, მაგრამ საძირკველი საძირკვლათ დარჩა და შიგ ჩაგუბებულ წყალში მხოლოდ ბაყაყებმა გამართეს კონცერტი. ცინცაბაძე გადაიყვანეს. ალმასკომის თავმჯდ. ადგილი დაიკავა შალიკო მათიკაშვილმა. მან უფრო ენერგიულად მოჰკიდა ხელი სახალხო სახლის საქმეს, მაგრამ რადგან დარწმუნდა, რომ სრულიად ახალი სახლის აშენება გამოიწვევდა დიდ ხარჯებსა და სამუშაო დროს, გადაწყვიტა თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის ორ სართულიან შენობის სახალხო სახლად გადაკეთება. მათიკაშვილმა აამოძრავა თელავის თითქმის ყველა მოქალაქე, შეადგინა კომისია გ. ჩხუბიანაშვილის მეთაურობით და შეუდგნენ სწრაფ მუშაობას: მოხადეს შენობას ნახევარი ნაწილი ჭერი, გასწიეს სიგანეზე, ამოუყვანეს სამაგალითო კედელი. კულტურის მოყვარულ ხალხის გული სიხარულით ივსებოდა: ეხლა კი ველირსეთ სახალხო სახლსაო, მაგრამ... მესამე თვეა მუშაობა სრულიად შეწყვეტილია... დაწყებული სახალხო სახლი უნდა დამთავრდეს, რათაც არ უნდა დაჯდეს, რაც შეიძლება მალე.

ჩვენთვის სახალხო სახლი არამც თუ საჭიროა, ის აუცილებელია, განსაკუთრებით დღევანდელ გარდამავალ ხანაში, როცა მშრომელი ხალხი თავისუფლდება ძველ ცრუმორწმუნოებისაგან და ახლის ძიებაშია; ახლის მიცემა კი შეუძლიან სახალხო სახლს მუდმივი ლექციების კითხვით, წარმოდგენების მართვით, სხვადასხვა კითხვებზე მოხსენებების მოსმენით და სხვ. მაშ ვეშუროთ სახალხო სახლის აშენებას თელავში.

**სოსო მაჭავარიანი**

## სათეატრო საქმე ბორჯომში

**ბორჯომში** არსებობს ქართული დრამატიული კოლექტივი, რომელიც რამდენიმე წელიწადია წარმოდგენების საქმეს აწარმოებს. კოლექტივში თითქმის ყველანი გამოცდილი სცენის მოყვარეები არიან (ოც და ხუთამდე ქალ-ვაჟი), საკმაო არტისტიული ნიჭით დაჯილდოებულნი.

სამწუხაროდ თეატრი ტეხნიკურათ ვერ არის კარგად მოწყობილი: სცენა ძლიერ პატარაა, რის გამოც რთული პიესების დადგმა სჭირს--ღარიბია დეკორაციით და გარდერობზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთ პირობებში საქმიანობა ძნელია და კოლექტივსაც მუშაობა ძლიერ უჭირს, მაგრამ მაინც ფარ-ხმალს არ ჰყრის და ენერგიულად ასრულებს მძიმე მოვალეობას „პროვინციაში თეატრის დამკვიდრების საქმეს“. 1923—24 წლის სათეატრო სეზონი გასული წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო და ამ დღიდან სისტემატიურად მართავდა წარმოდგენებს. დაიდგა ისეთი რთული პიესებიც კი, როგორიცაა: „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „მსხვერპლი“, „სტუმარ-მასპინძლობა“ და სხ. სცენისმოყვარეთა შორის რთულ როლების ასრულებით ყურადღებას იპყრობენ უმთავრესად შემდეგი სცენისმოყვარენი: დარო ბრეგვაძისა, ნიკ. ბურჭულაძე, ადრ. კავსაძე, ლავრ. ქალაშვილი, სერ. კიკნაძე, აბრამ მაისურაძე, ალ. ახსაბაძე და სხ. სცენის მოყვარენი ძლიერ ღარიბი არიან ქალთა ძალებით,—ჩაწერილია რამდენიმე სცენისმოყვარე ქალი, მაგრამ, გარდა ერთი-ორისა, სცენაზე სრულიად გამოუცდელები.

კოლექტივის ხელმძღვანელ-რეჟისორად მოწვეულია მხახიობქალი ელენე ციმაკურიძისასული. იმედია, მისი უნარით და გამოცდილებით, ახლად ჩაწერილი სცენისმოყვარენი გაიკაფავენ გზას. სცენისმოყვარენი შეძლებისადაგვარად მუშაობენ.

ბორჯომის საზოგადოება კი სალათას ძილით არის შეპყრობილი: საზოგადოებრივი მაჯის ცემა მოსდუნებია, თითქოს ეს დიდი კულტურული საქმე ბორჯომში მისთვის არ კეთდება, ყურადღებას არ აქცევს. ამის შედეგია, რომ წარმოდგენებზე ხშირად საშუალოზე ნაკლები ესწრება ხალხი. ეს იმიტომ კი არა, ვითომც საეჭვო ხარისხის წარმოდგენები იმართებოდეს,—პირიქით: ადგილობრივ პირობათა მიხედვით ხშირად კარგადაც იდგმის პიესები, მაგრამ ბორჯომელთა უმეტესობას „არშინ მალ-ალანი“ უფრო იზიდავს. დროა ჩვენი საზოგადოება „არშინ მალ-ალანის“ კულტს გასცილდეს და თვისი ესთეტიური განვითარებისთვის უფრო სწორი გზა გამოძებნოს, თორემ, თუ ამ გზით იარა, ამით ვერც მისი გონებრივი წარმატება წაიწევს წინ და ადგილობრივ სცენისმოყვარეთ, რომელთაც მიზნათ დაუსახავთ უანგარო სამსახური მელპომენისადმი, გულს გაუტეხენ.

საზოგადოება თეატრის განვითარების საქმეს ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს და მის ფეხზე დაყენებას ხელს უწყობდეს, თორემ მხოლოდ მარტო მთავრობის სუბსიდიები და სცენისმოყვარეთა უანგარო მუშაობა საკმაო არ არის.

**სფინქსი.**

## რეცენზიები:

**ქართ. დრამატ. სტუდიის საღამო** რუსთველის თეატრში მარტის 10, ორშაბათს, გასაკუთრებით იმითი იყო საყურადღებო, რომ აქ უნდა გამომზეურებულიყო სტუდიელთა ძალ-ღონე. პირველ განყოფილებაში ნ. გოცირიძემ, ტუგანოვმა და ა. ქორქოლიანმა ცოცხლად წარმოადგინეს ერთი სცენა გ. ერისთავის „დავა"-დან (სჯობდა-კი თვით სტუდიელთ გაესახიერებინათ). ჩვეულებრივ საკონცერტო ნომრების შემდეგ ვიხილეთ სტუდიელნიც. არაჩვეულებრივი აღფრთოვანება გამოიწვია მათმა ბალეტმა, რომლიდანაც გოდარის „ბოგემები" შეასრულეს მედეა ქორიძის ასულმა (მ. ქორელის და ნ. ჩხეიძისა), ჯორჯაძე-თუთბერიძისამ და ბერიაშვილმა, „საუცხოვო ვალსი"—სტუდიელებმავე კედრას ასულის მესვეურობით. თითქო გაყინულ ბნელეთს სრული გაზაფხულის ცხოველი მზის ქათქათა სხივთა ჭავლი ჩაეშვა და ცივ ზამთრის გათოშვილი გული გაალხვო, ასეთი იყო მათი გამოჩენის შთაბეჭდილება, ჩვეულებრივ გატკეპნილობით და ერთფეროვნებით ობ-მოკიდებულ ჩვენს სახელოვნო ცხოვრებაში. ტანმოქნილობა, ჰაეროვნება, ყოველი განცდის მიმოხვრითა და სახის ნაქვთთა მოძრაობით გამოსახვა,—აი რა ახასიათებს ამ ჩვენის ხელოვნების მშვენიერი მომავლის ნაზქორფა ყვავილებს. აქ შურისძიება, სიყვარული, ვნებათაღელვა უსიტყვოდ მეტყველებდა. თითოეულ მათს ხაზმოსმას, თითოეულ მათს გაქროლვას დამსწრე საზოგადოება სულგანაბული ხარბი თვალით უცქეროდა. ასევე თავისებური სიმშვენიერით განასახიერეს აკ. ფალავას მიერ ნათარგმნი ერთ მოქმედებიანი ტრაგიკომედიაფარსი „აფრიკული სიყვარული", სტუდიის მოწაფე ახალგაზრდებმა (ნინო დოლიძემ, პ. კობახიძემ, ვ. გოძიაშვილმა, ა. ბერიაშვილმა). ქართულ სცენას თითქმის არ ახსოვს ახალგაზრდა ძალთაგან პიესის ყოველმხრივ ასე შეგნებით, ასე ხელოვნებით და დიდის მომზადებით შესრულება. აქაც ტანმოქნილობა უმაღლეს წერტილამდეა აღყვანილი. აგრეთვე დიდის დაკვირვებით, ღრმა შეგრძნებით წარმოსთქვეს მონოლოგები, სტუდიელებმა ხათუნ ჭიჭინაძემ, პ. მურღულიამა და სხ.

ეტყობა სტუდიას მართლა და მცოდნე, საქმის სიყვარულით გატაცებული ხალხი უდგა სათავეში და ახალგაზრდა სტუდიელნიც, ხელოვნების ცეცხლით გამთბარნი ბეჯითად მეცადინეობენ. თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში ჩვენი ხელოვნება, სტუდიელების სახით, ველურ შეურყვნელობით მსუნთქავ საუცხოვო თაიგულს იყნოსავს.

საღამოში მონაწილეობდენ რუსი მსახიობნი პაპოვა, კრიჟანოვსკაია და სხ., აგრეთვე ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე... მაგრამ ყველა ამათი მონაწილეობა საღამოს „გასაბერად" თუ იყო საჭირო.

ვასაძემ რამდენად მშვენიერად წაიკითხა მსახიობის მონოლოგი „ჰამლეტი"-დან და მხურვალე ტაშიც დაიმსახურა, იმდენად ვერ დასძლია გრიშაშვილი: პატივცემულმა მსახიობმა კარგად უნდა იცოდეს, რომ გრიშაშვილს—მხოლოდ გრიშაშვილი კითხულობს, როგორც ეკუთვნის და თუ ცოტათი ემსგავსება (ისიც ბაძვით), ეს დაროშვილია. ესევე ითქმის ნიჭიერ თამ. ჭავჭავაძის შესახებაც,—რამდენად პირველი ლექსის წარმოთქმაში გამოიჩინა მეტყველება-შეგრძნების უნარი, იმდენად უხერხული. ნაძალადევი იყო მეორე ლექსში...

ნაშუაღამევს თეატრის ზემო დარბაზში გაიმართა კაბარე...

ამ საღამოს თითქო ვიღაც თუ რაღაც ხელს უშლიდა: ზოგიერთი მონაწილენი არ გამოცხადდენ, საღამო ძლიერ გვიან დაიწყო (თითქმის 10 ს.), ანტრაქტები გაჭიანურდა...

შნოიან-სტილიური იყო დეკორაცია—სინათლე.

**იობი**

**სახალხო თეატრში** მარტის 9 ქართ. დრამის დასმა ვ. ბარველის რეჟისორობით წარმოადგინა ტრ. რამიშვილის „სიყვარულის საზღვართან" (დაბეჭ. „თ. და ც." გ. წ. 1—3 №-ში და ა. წ. № 1—3).—ეს არის თანამედროვე ოჯახურ-საზოგადოებრივ ცხოვრების ვარამის ერთი ფურცელთაგანი. სიყვარული და მოვალეობა, საკუთარი „მე" და ოჯახი, ზნეობა და უზნეობა და სხ.,—აი რა ეპირისპირება ურთიერთს პიესაში. ყოველივე ეს დამსახურებულ დრამატურგს თავისებური ხალხური სიმარტივით აქვს ჩამოქნილი: და რამდენად პირველი ორი მოქმედება ბუნებრივი განვითარებით მიმდინარეობს, იმდენად მესამე მოქმედებას ზოგიერთი ხორცმეტი ემჩნევა (მაგ. ვალიკო ელვაძის სცენა), და ბოლოვებაც ცნობილი აზრია,—გასაყრელად მომზადებულ მშობელთ შეარიგებს შვილისადმი სიყვარული და დედის მოვალეობა.

პიესა რეჟისორის მიერ თუმცა კარგადაა შეგნებული, როლებიც შესაფერად განაწილებული, მაინც დამუშავება აკლია. გიორგი (ან. ლითანიშვილი) რამდენად მაღალბუნებოვანი, გონებით მომზადებული და ზნეობით სპეტაკია, მიმნდობი, მოსიყვარულე, სათნო, იმდენად ქართველური ბუნების, გრძნობიერი, იდუმალი ზიზღის მჩენი. —ამ ორ ბუნებოვანობის შორის განმსხვავებელი ხაზის გავლებაა საჭირო უფრო მკვეთრად. ელპიდა (ნ. ჩიხლაძე) რამდენად გრძნობიერია, ქალის გულის თქმებით გაცეცხლებული, იმდენად გონიერი, მოვალეობისა და მაღალ ზნეობის შემგრძნობი, გრძნობისა და გონების შენადუღი, ძველ ადათ-ჩვეულებათა ნარუქი, ახალი „კულტურით" ნაზიარები,—ამიტომაც მსახიობი დიდის სიფრთხილით უნდა მიუდგეს,—ერთი უადგილო ნაბიჯით, უადგილო მიმოხვრით მთლიანობა არ შებღალოს. უკანასკნელი სცენა სულთასწრაფვის უმაღლესი წუთია: აქ ურთიერთს ეჯახება მოტყუებით შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა, მეუღლესთან „პირშაობა", მშობლიური მოვალეობა, დათურგვნილი გულისთქმა და, აი, აქ, ეს სულიერი ბრძოლა სავსებით ვერ დასძლია. მსახიობს კი საამისო ძალა შესწევს და დასძლევს კიდეც, თუ იმეცადინა. ეს მისი ღირსეული როლია.

გიორგის და ელპიდას უფრო მეტად სულიერი ცხოვრება, მისი ცვალებადობა ახასიათებს და უმთავრესად ეს უნდა ახსოვდეთ ამ როლების შემსრულებელთ. მსახიობი კობელი (შერმანდო) საერთოდ როლს კარგად მიუდგა, მაგრამ შიგა და შიგ გაათვალა. ეს შეცდომაა. ელპიდა არც ისეთი ჩერჩეტია, ფატის ალერსით აცუნცრუკებულიყო. შერმანდო უკვე მომწიფებული კაცია, ცნობილი, მართალია გრძნობის ადამიანი, მაგრამ „გრძნობა

გახეხილი", უფრო ანგარიშიანი. მას ხელობად გაუხდია მშვენიერ სქესზე ნადირობა,—ერთხელ, ორჯერ ხელთ იგდებს და გათავდა... ეს ყვავილებიდან ყვავილზე დაფრინავს, მაგრამ არც ისე სუბუქად, რომ საზოგადოებამ გარიყოს. კობელმა ფატისებური მიმოხვრა უნდა მოიშოროს და ვფიქრობთ, მის რეპერტუარში შერმანდო საუკეთესო როლთაგანი შეიქნება. არანაკლებ პასუხსაგები როლია ედიშერი (ივ. ბარველი). ეს არის ჯანსაღი სიცოცხლიანობა, სალი, მკვიდრი, ბუნებით ოხუნჯი. და, მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორს ეს როლი დაუმუშავებია, სწორედ ამ მხრივ აკლდა სიცხოველე. მისი ედიშერი თითქო რაღაც მოქანცულ-დაღლილიაო, მგლოვიარე, როცა, ვიმეორებთ, დაუღალავი ბუნება უნდა ჰფეთქდ ს.

ს. რომ.-დგებუაძისამ (სალომე) და მარგველაშვილმა (ვერიკო) ნაკისრი როლები ბუნებრივის სინამდვილით შეასრულეს. კრავეიშვილს ნაკისრი ჰქონდა ცხოვრებისაგან დაწიხლული ადამიანის ვალიკო ელვაძის უფერული როლი და უფერულადაც ჩაატარა. სული ვერ შთაბერა.—აღსანიშნავია ბარველის 2—3 წ. ბალღი ერეკლე, რომელიც ბავშვის ვახტანგის როლში გამოიყვანეს. თავისდაუნებლიეთ თუ ბუნებრივის ალღოთი—ამ პაწაწკინამ სალი შთაბეჭდილება დასტოვა.

საერთოდ პიესამ და წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მრავლად შეკრებილ ხალხზე, რომელმაც აღმსრულებელნი და ავტორი ტაშით დააჯილდოვა. სახალხო თეატრის რეპერტუარში პიესამ საპატიო ადგილი უნდა დაიჭიროს. **უსავანო.**

**რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების** სასარგებლოდ რუსთველის თეატრში მარტის 12, თებერვლის რევოლიუციის 7 წ. თავის აღსანიშნავად გაიმართა საღამო ვრცელი პროგრამით. ფარდა აიხადა. სცენაზე გამოჩნდნენ ძველი რევოლიუციონერი-კატორღელები, რომელთაც ციმბირ-კატორღის დაღი სასტიკად ეღოთ, მაგრამ მაინც სიხარულის აღმძვრელი სიამაყით გამოიცქირებოდენ. პირველი სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოების წევრმა ძველმა კატორღელ-რევოლიუციონერმა ამხ. კარპე მოდებაძემ, რომელმაც მოკლედ დაახასიათა საზოგადოების არსებობის მიზან-მისწრაფება, მისი მნიშვნელობა და აგრეთვე ის, თუ როგორი მუშაობა სწარმოებს ამ დარგში მთელი საბჭოთა ფედერაციის მასშტაბით; მოიყვანა ციფრები იმ ათასეულ რევოლიუციონერების, რომელნიც ახლაც იტანჯებიან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ციხეებში. მაგ., გერმანიის ციხეებში გამომწყვდეულია 5,000 კაცით, ბოლგარიაში—10,000-ო და სხ. მოუწოდა ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია და მუშათა კლასის გამარჯვება, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ამ საზოგადოებას თავისი მიზნების განხორციელებაში. საზოგადოება აღფრთოვანებით შეეგება ამხ. კარპე მოდებაძეს, რომელმაც სიტყვა ასე დაამთავრა: —„ამხანაგებო, ჩვენი მოვალეობაა, მივიღოთ ყოველგვარი ზომები მათ დასახმარებლად, ვინც ახლა სასტიკ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი კაპიტალის წინააღმდეგ, ვინც ახლა მუშათა კლასის გამარჯვებისათვის იტანჯებიან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ციხეებში, რომელთა დროშაზედაც შემდეგი წარწერაა ერთ მხრივ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" და მეორე მხრივ: „გაუმარჯოს მსოფლიო სოციალურ რევოლიუციას"-ო. ამის შემდეგ ამავე საზოგადოების წევრმა ძველმა კატორღელმა ამხ. არჩილ რუხაძემ მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას, რომელმაც მისი წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა რევოლიუციისათვის დაღუპულ მებრძოლ გმირებს.

შემდეგ სახ. აკად. თეატრის მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ლ. ანდრეევის „О семи повешенных". არც ერთი მაყურებელი არ გადურჩა ცრემლებს. მეტადრე რევოლიუციონერ ქალთა ტანჯვა-წამება და მათი გმირობა, მათი უკანასკნელი წუთების ამაჟრჟოლებელი განცდანი ყოველ მაყურებელს სულის სიღრმეში სწვდებოდა. პიესა ყოველმხრივ კარგად იყო შესრულებული. ამის შემდეგ სცენაზე გამოჩნდნენ ძველი კატორღელები (კატორღელთა ტანისამოსში). ფარდა ჩამოიწია, საზოგადოება გულდაწყვეტილია, მაგრამ იხდება ფარდა, და რევოლიუციის დასაწყისის სურათი: ძველი კატორღელები ბორკილებს ამსხვრევენ, ძირს ჰყრიან და შორიდან ისმის ინტერნაციონალის ხმა. ბოლოს საკონცერტო განყოფილება. საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა. **შ. —ლი.**

---

**ტფილისის სახელმწიფო აკადემიური დრამა**

**ა. წ. მარტის 30-ს დღესასწაულობს ნიკო გოცირიძის XXX წ. იუბილეს.**

მოწოდება საიუბილეო კომიტეტისა.

ნიკო გოცირიძე—მუშა-არტისტი, ხელოვანი, 30 წ. მანძილზე ეწეოდა სასცენო მოღვაწეობას. მუშის სახელოსნოსა და სცენას შორის მან დასდო ხიდი, იგი პირველი მუშაა, რომელმაც მიიღო მაღალი ხარისხი დიდი არტისტისა. მუშათა უბნები, პროვინცია და სახალხო თეატრი—აი ეს იყო მისი ასპარეზი ამ წელთა სვლაში. თავ-დადებით, უანგაროთ ემსახურებოდა ნიკო ხალხს და ხელოვნებას ხალხისათვის. მუშის მაღალი მოწოდების—შრომისათვის მას არ მიუნებებია თავი. იმავე დროს იყო არტისტი. მის მიერ შექმნილი მრავალი სახეები კრთიან წარსულში და დღეს იგი ამშვენებს რესპუბლიკის დიდ სცენას.

ნიკოს ამაგი დასაფასებელია და ეს დაფასება მოხდება კვირას, მარტის 30-ს, რუსთველის თეატრში. ამ დღისათვის ნიკო გოცირიძის საიუბილეო კომიტეტი მოუწოდებს ხალხის მეგობართ და მუშა-არტისტის პატივისმცემელთ მუშა არტისტის საიუბილეო ზეიმზე.

მისამართი: რუსთველის თეატრი, საიუბილეო კომიტეტის მდივანს.

თავმჯდომარე სახალხო განათლების კომისარი
დავით კანდელაკი.

თავმჯდომარის ამხანაგი ვალერიან ვაშაკიძე.

წევრნი (ანბანის რიგით): ი. ბესელიძე, გ. ბუხნიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გოცირიძე, ი. ზურაბიშვილი, გ. თაზიშვილი, მ. თუშმალიშვილი, ვ. ივანოვ-კავკაზსკი, კ. მარჯანიშვილი, გ. რობაქიძე, ვ. სვიმონიშვილი, პ. საყვარელიძე, აკ. ფალავა, გ. ყურულაშვილი, ვ. ჭელიძე, გ. ჯაბაური.

კომიტეტის მდივანი დავით ჩხეიძე.

---

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

# განცხადება

## ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ

**ხუთშაბათს 20, პარასკევს 21 და შაბათს, მარტის 22 დილის 10 ს.**

## ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში

(გორის ქუჩა, სარკინისგზო ჩამონაკვეთში)

# აუქციონით

# გაიყიდება

სხვადასხვა სადგურებზე დაუხსნელი (მოუთხოვნელი)

## ბარგი, ნაპოვნი, მივიწყებული საგნები

## მეორე საჯარო ვაჭრობა

დარჩენილ ბარგის და საგნებისა მოხდება იქვე

## მარტის 24, 25 და 26 ამა წლისა

ქვემოდ ნაჩვენებია ზედდანართის ნომრები, ბარგის რაობა, რიცხვი რაოდენობისა და წონა.

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში, საჯარო ვაჭრობის დღეს კი იქვე მის დაწყებამდე.**

### I. მოუთხოვნელი ბარგი:

№ 48212—ცალიერი ბოთლები 2 ყუთი, 8 ფ. 10 გირ., № 49223—ლიტერატურა, 1 ადგ. 2 ფ. 10 გირ., № 197860—ლიტერატურა, 1 ადგ. 25 გირ., № 231510—საბილიარდო მაგიდა (სტოლი) დანაწილებული, № 231509—საბილიარდო მაგიდები, № 82489—ბილიარდი, დანაწილებული: № 196591—საოჯახო ნივთები, მოსაწევი თამბაქო 2 ადგ., 2 ფ. 37 გირ., № 96348—პორტლანდის ცემენტი 50 ბოჩ. 495 ფ., № 4214—საბაკალეო საქონელი 1 ფ. 25 გირ., 1 ყუთი, № 35962—ბრინჯის საცეხვი, 2 ადგ., 9 ფ. 38 გირ., № 80911—კაკლის მუხრუჭები 180 შეკვრა 225 ფ., ხის დაზგები 6 ადგ., 6 ფ. 10 გირ., ლასტი რკინა 13 ადგ. 12 ფ., რგვალი რკინა 4 ადგ. 2 ფ. 20 გირ., ხის ვერსტატები 2 ადგ. 6 ფ. 20 გირ., № 109923—თიხა 1 ყუთი 23 გირ., № 235163—სალესავი ხელსაწყონი 1 ადგ. 4 ცალი, 3 ფ. 36 გირ., № 118055—ყავა სასმელი, 1 ყუთი 2 ფ. 30 გ. № 118056—ყავა სასმელი 2 ყუთი, 4 ფუთი 20 გირ., № 25841—ცალიერი კალათები, 6 შეკრულა 1 ფ. 15 გირ., № 10517—საოჯახო ნივთები 1 ტ. 3 ფ., № 275—ხის კალაპოტები 2 ადგ. 4 ფ., № 19046—ხის ყუთები 1 შეკვრა 1 ფ. 3 გირ., № 127236—ცალიერი „ბოჩკები" ხისა—18 ცალი, 32 ფ. 30 გ., № 6389—შაბიამანი 14 ადგ. 143 ფ. 30 გ., № 115906—ნაბეჭდი წიგნები, 2 კ. 4 ფ. 38 გ., № 49221—ნაბეჭდი წიგნები, 1 ტ. 2 ფ. 2 გ., № 139737—ჟურნალები, 1 ტ. 1 ფ. 23 გ., № 74864— მინის ბოთლები 6 ყუთი 15 ფ. 25 გირ., № 41152 შვრია 6 ადგ., 17 ფ. 35 გირ., № 11052—სიმინდი 1 ადგ. 3 ფ. 20 გირ., № 10006—ხის ცალიერი სკივრი 1 ადგ. 1 ფ. 05 გ., № 34299- ცალიერი ხის

გაგრძელება იხ. შემდეგ გვერდზე.

ყუთი 9 ადგ., 4 ფ. 20 გირ. № 9658—ხის ყუთის ფიცრები 2 შეკვრა 2 ფ. 20 გირ., № 646941—ხის ყუთები 13 ცალი 08 გირ. № 647019—ხის ყუთები 14 ადგ. 3 ფუთი, № 646765—ხის ცალიერი ყუთები 5 ადგ. 2 ფ. 20 გირ., № 22720—ცალიერი ბოჩკები, 7 ცალი 11 ფ. 10 გირ., № 46336 ცალიერი ბოჩკები 2 ცალი 3 ფ. 08 გირ., № 650669—ხის ყუთი ცალიერი 8 შეკვრა 9 ფ. № 651514 ხის ყუთის ფიცრები შეკვრა 3 ფ. 15 გირ., № 34116—ნაძვის ხის ხუფები 3 ფ. 30 გირ., № 336620—შესქელებული რძე 22 ყუთი, 38 ფ. 19 გირ., № 71381— ვაზის ხის დაწნული კალათები 39 ფ. 34 გირ., № 71380—ვაზის რქის დაწნული კალათები 30 ადგილი 38 ფ. 05 გირ., № 71382—ვაზის დაწნული კალათები 30 ადგ. 39 ფ. 31 გირ., № 71378—ვაზის დაწნული კალათები 28 ადგ. 36 ფ. 35 გირ. № 184567—პურის ფქვილი, 1 ადგ. 3 ფ. 30 გირ., № 155173—საოჯახო ნივთები 1 კალ. 1 ფ. 33 გირ., № 106988—ნაბეჭდი წიგნები 1 კ. 2 ფ. 37 გირ., № 116910—სსტამბო ლიტერ. 1 ადგ. 4 ფ. 24 გირ., № 174022—ხის ცალიერი ბოჩკები 2 ცალი 1 ფ., № 126755—ლიტერატურა 1 ადგ. 1 ფ. 16 გირ., № 265045—ნაბეჭდი წიგნები 2 ფ., № 14191—საოჯახო ნივთები 1 სკივრი 6 ფ. 08 გირ., № 36188—რკინის ვივესკა 3 ფ. 10 გირ., № 89638—ნაბეჭდი წიგნები 1 ადგ. 1 ფ. 04 გირ., № 24143—ძეგლის გეგმა გიპსის 1 ადგ. 1 ფ. 35 გირ.; № 5835—დაპრესილი თივა 15 ც. 333 ფ. 35 გ. № 245563—„სლიუდა“ (გამჭვირვალე რბილი მინა) ნაჭრად 1 ყუთი 4 ფუთი 33 გირ., № 112465—ბამბის ქსოვილი 4 ადგ. 10 ფ. 08 გირ., № 121528—სუფრის მარილი პაჩკებში 5 ყუთი, 83 ფ. 36 გირ., № 6512—ლიტერ. 1 ადგ. 1 ფ. 33 გირ.

## II მოუთხოვნელი ბარგი:

№ 7219—ცალიერი გალია, 20 გირ., № 93035—ფიცრის ცალიერი ყუთი 1 ადგ. 10 გირ., № 32290—ფიცრის ცალიერი ყუთები 37 ადგ. 10 ფ., № 32458—ხის ცალიერი ყუთები ხილისა 27 ადგ. 2 ფ. 30 გირ., № 171344—ცალიერი ხის ბოჩკა 3 ფ. 35 გირ., № 1814237—ლიტერატ. 1 ადგ. 4 გირ., № 181141—ლიტერ. 1 ადგ. 4 გირ., № 181328—იგივე 1 ადგ., № 181062—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 161550—იგივე 1 ადგ. 5 გირ., № 167010—იგივე 1 ადგ. 7 გირ., № 167114—1 ადგ. 6 გირ., № 177381—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 177457—იგივე 1 ადგ. 5 გირ., № 177563—იგივე 1 ადგ., № 178205—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 180319—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 176887—იგივე 1 ადგ. 3 გირ., № 181930—1 ადგ. 3 გირ., № 181820—იგივე 3 გირ., № 132820—1 ადგ. 1 ფ. 30 გირ., № 18173—იგივე 1 ადგილი 3 გირვანქა. 1422 1 ადგილი 3 გირვანქა, № 181681—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 181532—იგივე 1 ადგ. 3 გირ., № 181745—1 ადგ. 3 გირ., № 181585—იგივე 1 ადგ. 3 გირ., № 186975—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 180187—იგივე 1 ადგ., № 178320—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 180593—იგივე 1 ადგ. 5 გირ., № 174199—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 180788—5 გირ., № 180872—იგივე 1 ადგ. 5 გირ., № 178586—იგივე 1 ადგ. 4 გირ., № 32422—ხის ცალიერი ყუთები 9 ფ., № 1987—თამბაქო 1 ადგ. 1 ფ. 38 გირ., № 66243—თიხა 1 ადგ. 4 ფ., № 1010—ფქვილი 1 ადგ. 2 ფ., № 173145—კარტოფილი 2 ადგ. 11 ფ., № 129940 ხის ცალიერი სკივრი 1 ადგ., № 113421—წიგნები 1 ადგ. 30 გირ., № 136648—ბაბუკის კროვატი 1 ადგ. 1 ფ., № 15889—1 შეკვრა 1 ადგ. 30 გირ., № 17570—საოჯახო ნივთები—1 ადგ. 1 ფ. 30 გირ., № 70359—თუნუქის ბიდონი 1 ადგ. 17 გირ., № 107—ნაბეჭდი წიგნები 3 ადგ. 7 ფ. 37 გირ., № 99935—ხელის ხაბაკი 2 ადგ. 2 ფ. 02 გირ., № 93421—საოჯახო ნივთები 1 ადგ. 7 გირ., № 94067—დაჭეჭყილი ჩემოდანი 1 ადგ. 36 გირ, № 95320—საოჯახო ნაირი ნივთები 2 ადგ. 5 ფ. 29 გირ.; № 5888—თუნუქის ბიდონი 1 ადგ. 30 გირ., № 109773—რკინის კროვატი 1 ადგ., № 2477—საოჯახო ნაირი ნივთები 1 ადგ., 1 ფ. 29 გირ.,

## III. უდოკუმენტო ბარგი:

№ 666—კალ. სოდა 18 ბოჩკა 662 ფ., № 375—მარილი 4 ადგ. 15 ფ. 22 გირ., ქერი 1 ადგ. 2 ფ. 23 გირ, ნახშირი 1 ადგ. 1 ფუთი 12 გირვანქა. № 685—ლობიო 2 ადგ. 4 ფ. 33 გირ, № 38—ვაშლი 6 ყუთი 6 ფ. 33 გირ., მარილი 4 ადგ. 12 ფ. 20 გირ. № 10—სიმინდი 2 ადგ. 6 ფ. 10 გირ., № 693—ტბის მარილი 4 ადგ. 11 ფ. 30 გირ., ზღვის მარილი 7 ადგ. 19 ფ., № 4971—ფქვილი 1 ადგ. 5 გირ., № 424—ტბის მარილი 34 ადგ. 106 ფ. ფქვილი 1 ადგ. 3 ფ. № 105—მოსაწევი თამბაქო და თითბრის ფულები 1 ადგ. 1 ფ. 03 გირ., № 97—ლობიო 18 ფ. 39 გირ., № 55—კრუპა 1 ადგ. 1 ფ., № 13—ძველი ნალები 3 შეკვრა 2 ფ. 30 გირ., თუნუქის ბიდონები 25 ცალი 2 ფ. 15 გირ., რკინის ტრუბები 3 ცალი, 8 ფ., 15 გირ., № 474—1 ადგ., 3 ფ., № 57—ნავთი 4 ადგ. 2 ფ. 20 გირ., № 55 ნავთი 5 ადგ. 6 ფ. 33 გ., № 56—ნავთი 4 ადგ. 5 ფ. 20 გირ., № 8—ნავთი 2 ადგ. 1 ფ. 12 გირ.; № 4441—ხის გალიები 21 ცალი 1 ფ. ცალიერი ხის ყუთები 2 ფ.

## IV. უდოკუმენტო ბარგი.

№ 468—ჩემოდანი 1 ადგილი 2 გირვანქა, № 540—ჩაი 2 ადგილი 1 ფუთი 19 გირ., თამბაქო 1 ადგილი 10 გირ., № 749—ხახვი 1 ადგ. 1 ფ. 37 გირ., № 706—სიმინდი 1 ადგ. 1 ფ. 06 გირ., № 708—ხორბალი 1 ფ. 20 გირ., № 707—სხვადასხვა 1 ადგ. 1 ფ. 16 გირ., № 81 ლობიო 3 ადგ. 7 ფ. 25 გირ., № 12—საოჯახო ნივთები, 15 გირ., № 739 სხვადასხვა 3 ადგ. 16 გირ., № 738 ქალის ქუდები 3 ცალი, № 64—შავი აბრეშუმის ქოლგა 1 ადგ., და სპილენძის ბიდონი 1 ადგ. 16 გირ., № 709—მოქსოვილი შალი, 1 ცალი 36×36 ვერ., № 680—კოფტოჩკა 1 ცალი; № 28—მარილი 1 ადგ. 1 ფ. 38 გირ., № 27 ქიშმიში 2 ყუთი—2 ფ. № 16—1 ადგ. 1 გირ., № 520—ლიტერ. ადგ. 8 გირ., № 9—ხის ცარიელი ბოჩკა 1 ადგ. 14 გირ., № 7—ხის ცალიერი ბოჩკა 1 ადგ. 1 ფ. 02 გირ. და № 64—ხორბალი 10 ადგ. 1 ფ. 23 გირ.

1—1

ნ. ღ. მთავლიტის მიერ № 1169 | ს. მ. უ. ს. პოლიგრ. განყ. მე-5 სტამბა | ლენინის ქ., № 3 | ტირაჟი 2000